დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

- გელა მაჭარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ანი მეხუზლა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
- მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

- ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239404088

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საჩხერე
იურიდიული მისამართი	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი გორისა
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი გორისა
საფოსტო ინდექსი	4012
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gorisi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599795986

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 8 23 0000897112 18.07.2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	14 – 15 აგვისტო, 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური I – VI კლასი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი გორისა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური VII – IX კლასი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელ გორისა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური X – XII კლასი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელ გორისა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის შეფასების პროცესში ყველა ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ექსპერტების მიერ სკოლიდან შესაბამის ვადებში გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის ნაწილი სკოლამ დროულად მოგვაწოდა, ნაწილი კი ადგილზე ვიზიტისას დაგვახვედრა.
ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიები.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სკოლამ გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. სკოლის პერსონალს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი უფლება-მოვალეობანი. სასკოლო საზოგადოება მზადაა მუდმივი განვითარებისათვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის, რადგან ხარისხიანი განათლების მიღება მუდმივი პროგრესის გარეშე შეუძლებელია.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა გამორჩეულია საინტერესო პროექტების განხორციელებით. მათ შორისაა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ ინიცირებული პროექტი „კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის სავიზიტო ბარათია“. ასევე განხორციელდა პროექტი: „საქართველოს დაცული ტერიტორიები“, სადაც მოსწავლეებმა გამოიყენეს კომპიუტერული ტექნოლოგიები და Minecraft-ის სასწავლო პროგრამა.
აღნიშნული პროექტი ემსახურებოდა ისეთი პრიორიტეტული თემის გააქტიურებას, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა შეძლეს პრობლემის ამოცნობა, გაანალიზება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა, სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს. თანამედროვე რეალობის სივრცულ დროით ჭრილში გააზრება, ინტერპრეტირება. და ა.შ.

2022-2023 სასწავლო წელს მოქალაქეობის მასწავლებლის ხელმძღვანელობით სკოლაში ფუნქციონირებდა სასკოლო კლუბი „მოდინახე“, რომელიც ახორციელებდა გარემოსდაცვით ღონისძიებებს. პოპულარიზაციას უწევდა ჯანსაღი ცხოვრების წესს, ეხმარებოდა ბენეფიციარებს ტყისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობის გააზრებაში. პროექტის ფარგლებში მათ შესძინეს ძველ ნივთებს ახალი სიცოცხლე, გააცნობიერეს უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობა. აღინიშნა ტყისა და დედამიწის საერთაშორისო დღეები საინტერესო ღონისძიებებით.

გორისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს GDI -ის მიერ გამართულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავ ღონისძიებათა კონკურსში, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოში, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი ჟიურის მიერ შერჩეულ იქნა ათ(10) საუკეთესო პროექტს შორის და დაფინანსდა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 500	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	სკოლის მატერიალურ- ტექნიკური ბაზის დათვალიერებისა და აღწერის საფუძველზე, ფინანსური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე სკოლას აქვს შესაძლებლობა მიიღოს და უზრუნველყოს 200 მოსწავლის განათლების მიღება სამივე საფეხურზე.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N…		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ 2024 წლის 1 ივლისამდე წარმოადგინოს: 1.შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა; 2. სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შექმნას ვებგვერდი 2023 წლის 30 ნოემბრამდე;
ინდიკატორი N3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ვებგვერდზე განათავსოს ინფორმაცია ქართულ ენაზე 2023 წლის 30 ნოემბრამდე;

ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ვებგვერდზე განათავსოს ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია 2023 წლის 30 ნოემბრამდე;
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დასაცავად, ხელშეკრულება გააფორმო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.
ინდიკატორი N 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რჩევა, დროულად უზრუნველყოს პანდუსისა და სველი წერტილის ადაპტირებასთან დაკავშირებული მიმდინარე სამუშაოების დასრულება
ინდიკატორი N 3.5.1.5.	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის	სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვოს სტანდარტის შესაბამისად

	განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	**დაწყებითი საფეხური** **მათემატიკა** სკოლას მიეცა რჩევა, გლობალური ფუნქციური უნარების განსავითარებლად მეტი აქცენტი გააკეთოს არაფორმალური განათლების მიმართულებით.
ინდიკატორი N 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	**მათემატიკა** სკოლას მიეცა რჩევა კათედრას სამივე საფეხურზე იმუშავოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები დახვეწაზე
ინდიკატორი N 2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	**ბუნებისმეტყველება**

		სამივე საფეხურზე სასურველია შემუშავდ მეტი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის გამოყენებით
ინდიკატორი N 2.2.2.4	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სამივე საფეხურზე უმჯობესია ჩატარდეს მასწავლებლების პროფესიული განვითარების ტრენინგგები შეფასების საკითხების შესასწავლად.
ინდიკატორი N 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სამივე საფეხურზე შეიქმნას პერიოდული შეფასების ხარისხის ანალიტიკური დოკუმენტი მონაცემების ვიზუალირების ინსტრუმენტების გამოყენებით (ინფოგრაფიკა, დიაგრამები)
ინდიკატორი N 2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით;	შემუშავდეს დოკუმენტაციის აღრიცხვის წესის განმსაზღვრელი დოკუმენტი, მიეთითოს შენახვის ვადა 3 წელი.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“ (3.4.1.1; 3.6.3.1; 3.6.3.4; 3.6.3.5), ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით. გარკვეული ინდიკატორები: 1.2.1.1; 1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.2.1; 2.2.2.5. შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით არის „დასრულებული“ - ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (დანართები) და დაადგინეს შესაბამისობა მითითებული ინდიკატორების შესრულების შესახებ.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლას აქვს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მისია და ხედვა, რომელიც ასახავს სკოლის ძირითად დანიშნულებას. იგი ორიენტირებულია სასკოლო გარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. გორისის სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ნამდვილად დაცულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. სასკოლო პროექტებით(რომელიც სკოლის გამორჩეულ პრაქტიკას წარმოადგენს) და არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა თემში წარმოადგენს სოციო კულტურულ სივრცეს. სკოლის მთლიანი ტერიტორია შემოღობილია. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელიპირი,რომელიც ზრუნავს სკოლაში უსაფრთხო, მზრუნველი და ჯანსაღი გარემოს შექმნაზე. სკოლა არის წარმატებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორ, აკადემიურ გარემოს თითოეული მოსწავლისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებში არ იძებნება დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესში,თუმცა ზეპირი ინტერვიუირების დროს მასწავლებლებმა და სკოლის დირექციის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მაქსიმალურად არის გათვალისწინებული სასკოლო და სათემო საჭიროებები, ღირებულებები. მისია და ხედვა ხელმისაწვდომია მშობლებისა და ყველა დაინტერესებიულ პირსათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ინფორმაციით, მისია და ხედვა , შემუშავების პროცესში გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ, ხდებოდა განხილვები კათედრის სხდომებზე, პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე, თუმცა ამის ამსახველი დოკუმენტაცია სკოლაში არ იძებნება. ინტერვიუს დროს დირექცია აღნიშნავდა, რომ მასწავლებლები და სასკოლო საზოგადოება გაეცნო მისიის პროექტს და ზეპირი უკუკავშირებითა და რეკომენდაციებით მიიღეს თანამონაწილეობა მისიის შემუშავებაში. მოსაზრებების გაცვლის პროცესი ასახვდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და გაზიარებულობას მისიის შემუშავების პროცესში, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. გამოკრულია სკოლის ფოიეში, დეკლარირიებულია 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 (15/09/2005) - "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა;
- 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. ამჟამად სკოლის გუნდი მუშაობს მეთოდოლოგიის დოკუმენტის შემუშავებაზე. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას არ აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. ამ ეტაპზე სკოლას დაწყებული აქვს სტრატეგიულ დაგეგმვაზე მუშაობა, სადაც აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას მუშაობს ერთწლიან სამოქმედო გეგმაზე, რომელიც გაითვალისწინებს , როგორც ადამიანურ რესურსს, ასევე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას და დაეფუძნება სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ გაკეთებულ განვლილი სასწავლო წლის ანალიზს. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ამჟამად არ აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელთა გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზეპირი გასაუბრება

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. ამჟამად სკოლის გუნდი მუშაობს მეთოდოლოგიის შემუშავებაზე, სადაც გათვალიოსწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს მონიტორინგის გამოცდილება

3. სკოლა გეგმავს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ოფიციალურ დოკუმენტად დამტკიცების შემდეგ, გაასაჯაროოს.

4.სამოქმედო გეგმის შედეგებს სკოლა გაითვალისწინებს შემდგომ დაგეგმვაში

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ გორისის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, კათედრები. სოფელ გორისის საჯარო სკოლის წესდებაში მოცემულია ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. სკოლას აქვს შემუშავებული ზემოთ ნახსენები სტრუქტურული ერთეულების სქემატური ნახაზი, სადაც ჩანს სტრუქტურული ერთეულების იერარქიული განთავსება. სკოლაში არსებობს ზემოხსენებულ სტრუქტურულ ერთეულთა მიერ ნაწარმოები დოკუმენტაცია (სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს ოქმები, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები, დირექტორის მ/შემსრულებლის მიერ გამოცემული ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტები და ამ აქტებით დამტკიცებული მარეგულირებელი ტიპის წესები, დირექცია - ადმინისტრაციის წევრების სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი(დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით). სკოლაში ფუნქციონირებს საგობრივი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის, დაწყებითი საფეხურისა და სპორტის. კათედრის სხდომები ფორმდება ოქმებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას აქვს მოსწავლეთა

თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.ზემოთ მოცემული სტრუქტურული ერთეულებისა და პირების მიერ ნაწარმოები დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ მათ შორის განაწილებულია ფუნქცია-მოვალეობები. კათედრების ანგარიშები, დირექტორის მიერ გამოცემული აქტები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებები,
- სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს და მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის და კათედრების ოქმები და ანგარიშები,
- სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. დოკუმენტში განისაზღვრება სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პასუხისმგებლობები და სამუშაო აღწერილობა, ახალი კადრების მოზიდვისა და შერჩევის პოლიტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლაში 2020 წლის 25 ნოემბრიდან ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარების ჯგუფი, (ბრძანება N 2-58) რომელშიც გაერთიანებული არიან კათედრების წარმომადგენლები. სკოლას აქვს ამ ჯგუფის წევრებისა და კათედრების წარმომადგენლების ურთიერთდასწრების პრაქტიკა. სკოლა აწარმოებს ,,გამოცხადების ჟურნალს". დანერგილია შემცვლელი მასწავლებლის ინსტიტუტი, რაც საჭიროების შემთხვევაში, იწვევს კონკრეტული დღის სასწავლო ცხრილის მოდიფიცირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა პერსონალის შერჩევისას იცავს კანონის მოთხოვნებს. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში კადრი შეირჩევა კონკურსის წესით. პერსონალის მოზიდვა ძირითადად ხდება შესაბამის ვებ-პორტალზე / https://teacherjobs.ge/ ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გზით. სკოლაში ვაკანსიის შემთხვევაში, პირველ რიგში დგინდება , ვაკანტური საათების ან/და ვაკანტური პოზიციის ათვისებასთან დაკავშირებით აქვს თუ არა სკოლას შიდა რესურსი. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რესურსი სკოლას აქვს, ცხადდება შიდა კონკურსი. თუ სკოლას არ გააჩნია შიდა რესურსი, ამ შემთხვევაში ცხადდება ღია კონკურსი. ამის დამადასტურებელია სპეციალური მასწავლებლის შერჩევის შესაბამისი დოკუმენტაცია. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოწესრიგებულია. აქვთ ყველა დოკუმენტი, რასაც ითვალისწინებს კანონმდებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში დასაქმებული ყველა პირი (მათი პირადი საქმეების მონაცემების გათვალისწინებით) კვალიფიცირებული კადრია. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებული თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ყველა მასწავლებელს მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი და შრომითი ხელშეკრულებებიც სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული. სკოლას ამჟამად ჰყავს 8 წამყვანი და 17 უფროსი მასწავლებელი, მათ შორის 1 სპეციალური და 1 მოწვეული მასწავლებელი. სკოლა ხელმძღვანელობს „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითა“ და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“. ხელშეკრულებები მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის სიტყვიერი განმარტებით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს- პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია მისი ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა, თანამშრომლობის, მიუკერძოებელობისა და სამართლიანობის ატმოსფერო. ყველა წარმომადგენელს აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. პედაგოგები თანამშრომლობენ გაკვეთილების, სასკოლო პროექტების, ინოვაციური აქტივობების, პრევენციული ღონისძიებების დადგეგმვა შემუშავების პროცესში. აქტიურია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. რაიონულ დონეზე კოლეგათა ურთიერთ თანამშრომლობის მიზნით, სკოლა ჩართულია სასკოლო ქსელებში. მასწავლებლები მონაწილეობენ რაიონულ და ეროვნულ კონფერენციებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული

ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილება დაწყებით საფეხურზე (I-VI) კლასებში საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტ G-PRIED-ში. გადამზადდნენ პედაგოგები, სკოლა მომარაგდა სხვადასხვა სასწავლო მეთოდური რესურსებით: პროექტორი, ეკრანი, წიგნები, მანიპულატივები, პოსტერები, პლეიერები. სკოლა ჩართული იყო სამოქალაქო განათლების პროგრამაში ,,მომავლის თაობა“. ამჟამად ხორციელდება USAID საბაზისო განათლების პროგრამა ,,ლიდერი მასწავლებლებისთვის“. სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართული მესამე თაობის ესგს დანერგვაში. გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს რაიონულ და ეროვნულ კონფერენციებზე. მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონკურსებში და აქვთ არაერთი წარმატება, რაც აღიარებული და წახალისებულია სკოლის დირექციის მიერ. მასწავლებელთა წარმატებები აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. სკოლას ყოველწლიურად ჰყავს „ჩემი პირველი კომპიუტერის“ მფლობელები, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები. კურსდამთავრებულთა 90% ირიცხება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის სახელმწიფო გრანტით. მოსწავლეთა ნაწილი აგრძელებს პროფესიულ სასწავლებელში სწავლას.

სკოლის დირექცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებას. ხდება მოსწავლეებისა და მასწავლებელთა წახალისება და მხარდაჭერა. სკოლაში დანერგილია ბრძანებით მადლობის გამოცხადებისა და დიპლომით, სიგელით დაჯილდოების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- კათედრის სამუშაო ჟურნალი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესი და პირობები.
- შრომითი ხელშეკრულებები

- პერსონალის შერჩევის დოკუმენტი
- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი
- პერსონალის შერჩევის დოკუმენტი
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი გაკვეთილების შესახებ.
- მადლობის სიგელები, სერტიფიკატები
- ზეპირი ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, (სკოლის დირექტორის 2020 წლის 25 ნოემბრის ბრძანება N 2-58) ასევე, სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომლის დროსაც გაიცემა რჩევები და რეკომენდაციები(მათ შორის წერილობითი). სკოლაში გაკვეთილზე დასწრების შედეგად მიღებული უკუკავშირი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც საჭიროებების დადგენის მექანიზმი. დანარჩენი პერსონალის შეფასება-განვითარების პრაქტიკა ან რაიმე მექანიზმი სკოლაში არ არსებობს.

სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები ავსებენ თვითშეფასების კითხვარს, რომლის საშუალებით ხდება ინდივიდუალური საჭიროების დადგენა. სკოლაში ხორციელდება საერთო პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები. პროფესიული განვითარება ძირითადად ხდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების საშუალებით (სავალდებულო ან ინტერესებზე მორგებული ტრენინგები პედაგოგებისთვის, სკოლის ბუღალტერისთვის, ბიბლიოთეკარისთვისა და ექიმისთვის).

ინდიკატორი დაკმაყოფილებული.

2.კათედრების წევრების, მასწავლებლების, დირექტორის მიერ გაცემული რეკომენდაციების(უკუკავშირის) საფუძველზე, მასწავლებლებთან დაკავშირებით, სკოლას იდენტიფიცირებული აქვს საჭიროებები. სკოლას 2023/24 სასწ. წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს ტრენინგები. იგეგმება კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო ინტეგრაცია დანარჩენი საგნობრივი მიმართულებებით, ასევე, კომპლექსური დავალებების შემუშავება-დანერგვა-ანალიზის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის კარიერული ზრდისათვის სკოლა ქმნის შესაბამის პირობებს. სკოლა აღჭურვილია მაღალი ხარისხის კომპიუტერული ტექნიკით, ელექტრონული რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისათვის. იდენტიფიცირებული აქვთ საჭიროებები, რისთვისაც გამოყოფილი აქვთ ფინანსური რესურსი. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების განვითარების გზების მოძიებას და შეთავაზებას როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარე სერვისებით. უწყვეტად მიმდინარეობს საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი

უკუკავშირის მიცემით. ყურადღება მახვილდება მასწავლებლის პროფესიული განვითარებაზე. მასწავლებლები აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო თანამშრომელთა სამუშაო პროცესში ინტეგრაციისათვის. ეს პროცესი რომ ინტეგრირებულია, ჩანს სკოლაში განხორციელებულ პროექტებში, ღონისძიებებში, რომლებშიც მთელი სკოლის ჩართულობა იგრძნობა) . სკოლაში აქვთ ახალი თანამშრომლის ტრანზიციის კულტურა და პრაქტიკა. აცნობენ სკოლის ისტორიას, მისიას, ტრადიციებს, შინაგანაწესს და წარუდგენენ სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ახდენს წარმატებული ინიციატივების წახალისებას. სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან (USAID), ჯიპრაიდთან, გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლას სტუმრობენ წარმატებული ადამიანები. მასწავლებელთა ხელმძღვანელობით სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები. სკოლაში შექმნილია ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია დირექციისა და კათედრის წარმომადგენლების მიერ. ჯგუფი განიხილავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, რაც წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად. სასკოლო საზოგადოების ინიციატივებს დირექციის მხრიდან ყოველთვის აქვს მხარდაჭერა, შესაძლებლობის ფარგლებში, ადამიანური თუ ფინანსური რესურსით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება, დებულება.
- კლუბის დებულება

- პერსონალის წახალისების ბრძანებები, დიპლომები, მადლობის სიგელები. სერტიფიკატები
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მაღალპროფესიულია, რაც ნათლად ჩანს საგნობრივი ჯგუფების კათედრების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში. სასწავლო წლის ბოლოს ჯამდება წლის დასაწყისში დაგეგმილი აქტივობების შედეგები, სკოლა ახდენს ხარვეზის იდენტიფიცირებას და პრევენციული ზომების გატარებას. ეს პროცესი ძირითადად წარიმართება ახალი სასკოლო გეგმის პროექტის შემუშავებისას, რაც ნათლად გამოჩნდა ვიზიტის პერიოდში, როცა სკოლამ წარმოგვიდგინა 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმის პროექტი და გამოთქვა მზაობა კიდევ უფრო განავითაროს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის უმნიშვნელოვანესია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი, რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს. სასკოლო საზოგადოება იაზრებს, რომ ყოველივე ამისათვის საჭიროა პროცესული მიდგომა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი და ამ დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული 2023/24 სასწ. წლის სასკოლო გეგმის პროექტი. სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (რომელსაც ახორციელებს ხარისხის განვითარების ჯგუფი). მოქმედ შინაგანაწესში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლას შერჩეული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები, ყველა კლასს ჰყავს დირექტორის მ/შემსრულებლის ბრძანებით განსაზღვრული დამრიგებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ვალდებულია სკოლის თანამშრომლებს, მოსწავლეებს/მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მისცეს გასაჩივრების უფლება ცალკეულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის სისტემა გაწერილია შიდა რეგულაციით. სკოლაში ეს პროცესი იმართება ობიექტურობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. ამისათვის შექმნილია სპეციალური კოლეგიალური ორგანო- დისციპლინური კომიტეტი. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, როგორც მის უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე, გადაწყვეტილებების გასაჩივრების, როგორც

შიდა სასკოლო, ისე სკოლის გარეთ არსებულ მექანიზმებზე. (გასაჩივრების პროცედურები, სამეურვეო, სააპელაციო, დისციპლინური, სემესტრული გამოცდის მოთხოვნის პროცედურა და სხვა). სკოლის შინაგანაწესი, გაწერილია კანონმდებლობის შესაბამისად. შინაგანაწესში ყურადღება გამახვილებულია დისციპლინური წარმოების წესზე, რომლითაც ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დისციპლინური კომიტეტი. დაკომპლექტებულია მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებით. დადგენილ ვადებში მიიღება გადაწყვეტილება და წერილობითი განმარტებით გადაეცემა შესაბამის პირებს. შინაგანაწესში გაწერილია გასაჩივრების მექანიზმი. მითითებულია, რომ დისციპლინური გადაცდომის არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება ამ შინაგანაწესის ნორმები და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N167/ნ ბრძანებით დამტკიცებული დისციპლინური წარმოების წესი. სკოლაში არ არის სააპელაციო კომიტეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4 . სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის მოსწავლეების მშობელს/წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ფიქსირებულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. ვინაიდან სკოლას არ ჰყავს მანდატური, აქტიურად მუშაობს მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ უფლებები, რომლებსაც აღწერს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მნიშნველოვანია: სკოლის თემის წევრები ინფორმირებული იყვნენ საკუთარი უფლებების შესახებ; სხვადასხვა აქტივობების წარმართვისას სკოლა მხედველობაში იღებს ამ უფლებებსა და ვალდებულებებს. საჭიროების შემთხვევაში სასკოლო საზოგადოების წევრებს უხსნის, თუ რა განაპირობებს სხვადასხვა ვითარებაში მათ (ე.ი. უფლებების) ნაწილობრივ შეზღუდვას. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესრულებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ანგარიშები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- შინაგანაწესი
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.
- ხელშეკრულებები(სკოლასა და მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის).
- ზეპირი ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით, სკოლა იყენებს როგორც შიდა, ისე გარე მექანიზმებს. შიდა მექანიზმად განიხილება სამუშაო შეხვედრები მშობლებთან, სკოლის პერსონალთან, სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე, მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მოსმენა და განხილვაში მონაწილეობის მიღება. გარე მექანიზმად იყენებენ სოციალურ გვერდს. სკოლაში არსებობს მოსაზრებებისა და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. დამრიგებლების მიერ სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრების განრიგი, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებასთან, ცვლილებებთან და განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმირების, მათგან უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მიზნით, ტარდება პირისპირ შეხვედრები, გაფორმებული აქვთ შესაბამისი ოქმები, სკოლის დირექციის მხრიდან დროულად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება. დაინტერესებული პირების მიერ მიღებულ უკუკავშირს კი სკოლა ითვალისწინებს მომავალი პროცესის დაგეგმვაში

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში ფუქნციონირებს სამურვეო საბჭო, რომელშიც თანაბარი რაოდენობითაა არჩეული მშობელი და მასწავლებელი, ასევე, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტიც პარიტეტის საფუძველზეა შექმნილი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლე. ხსენებული სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი და დამხმარე დოკუმენტების შემუშავება-შეთანხმება და დანერგვა, რაც მტკიცდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური ინფორმაციით და ინტერვიურების მეშვეობით. მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიული და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფეისბუქ გვერდი.
- მშობელთა კრებები/შეხვედრების ოქმები
- დირექტორის, სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს და მრჩეველთა საბჭოს ოქმები და ანგარიშები.
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის რეგულაციები შეტანილი აქვთ შინაგანაწესში. განსაზღვრული ჰყავთ უფლებამოსილი პირი, რომელიც აკონტროლებს შიდა და გარე პერიმეტრს. სკოლა უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლის ტერიტორიის დაცვას ასევე უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევაში, სკოლას შეუძლია პირველადი სამედიცინო სახის დახმარების გაწევა. სკოლის შენობის სამივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. კარიდორებში და ფოიეებში გამოკრულია გასასვლელების მაჩვენებლები, სკოლა გეგმავს კომპეტენტური პირების ჩართულობით და ზედამხედველობით მოაწყოს სიმულაციური სწავლება საგანგებო სიტუაციაში შენობიდან თავის დაღწევის მიზნით.

სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის ტერიტორია კაპიტალურად არის შემოღობილი. სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით საჭიროა სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა. ამჯერად სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლას დაწყებული აქვს პროცედურები. სკოლას არ აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, ამასთან დაკავშირებითაც არსებობს მიწერილობა შესაბამის სამსახურთან. სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2024 წლის 1 ივლისამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება შინაგანაწესის მიხედვით. ამ მიზნით სკოლას გამოყოფილი ჰყავს მორიგე მასწავლებლები, მოსწავლეები, უფლებამოსილი პირი, სკოლის დარაჯი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.ფსიქოლოგიური და ემოციურად უსაფრთხო გარემოს დაცვისათვის სკოლა იყენებს შიდა რესურსს (მანდატური არ ჰყავთ). აღნიშნულ გარემოს იცავს დირექცია, კლასის დამრიგებლები (სადამრიგებლო პროგრამის მეშვეობით), სკოლის ექიმი, უფლებამოსილი პირი და სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში ტარდება საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც კლასის დამრიგებლები სისტემატურად მართავენ მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრებს. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები მოსწავლეებს ესაუბრებიან ისეთ თემებზე, როგორიცაა ძალადობა, ბულინგი, ასაკობრივი თავისებურებები, ნაადრევი ქორწინება. პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლები, რომელთაც მუდმივი კომუნიკაცია აქვთ დამრიგებელთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სანიტარულ ნორმებზე პასუხისმგებელი პირი/სადეზინფექციო მარაგების შენახვაზე პასუხისმგებელი პირი.

მუდმივად ხდება სველი წერტილების დამუშავება და სათანადოდ აღჭურვა. ეწყობა დასუფთავების აქციები სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.პერსონალურ მონაცემებთან მუშაობს საქმისმწარმოებელი, სკოლის დირექტორი და კლასის დამრიგებლები. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელშიც გაწერილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი. პერსონალური მონაცემების დაცვა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებაა. შესაბამისად, სკოლა იცავს, როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალურ ინფორმაციას. სკოლაში შენახულ თითოეული მოსწავლისა და თანამშრომლის პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. (სკოლის დირექტორის მ/შ-ს 20.04. 2023 წლის ბრძანება N 2-03)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმად, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამსახურეობრივ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, სკოლის საქმისმწარმოებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს მოპოვებული ინფორმაცია, გარდა კანონით გათვალიწინებული შემთხვევებისა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების პრაქტიკა ან რაიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, თუმცა ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელსაც გასული სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს სხდომები, რომელშიც არის დირექტორის ანგარიში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანება.
- საქმისწარმოების წესი.
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება.
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები.
- ზეპირი ინტერვიუ

- საევაკუაციო გეგმა
- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ გორისის საჯარო სკოლა განთავსებულია მისსავე სარგებლობაში მყოფ, 11969.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. სკოლის სასწავლო კორპუსი ექსპლუატაციაში შევიდა 1989 წელს. მისი რეაბილიტაცია განხორციელდა 2008 წელს. სკოლის შენობა არის 3 სართულიანი, ნულოვან სართულზე განთავსებულია სარდაფი, პირველ სართულზე - კვების ბლოკი (სასკოლო ბუფეტი), სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი, დარაჯის ოთახი, 7 საკლასო ოთახი და სველი წერტილები, მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, ბუღალტერია, სკოლის კანცელარია, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, 4 საკლასო ოთახი, რესურს ოთახი და სველი წერტილები. მესამე სართულზე განთავსებულია ფიზიკის კაბინეტი, ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი, 7 საკლასო ოთახი და სველი წერტილები. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 1 პერსონალური კომპიუტერი და 17 ლეპტოპი. ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტით. სკოლას აქვს 5 პროექტორი.

შენობის ფასადი და შიდა ინტერიერი კარგად არის შენახული. ექიმის კაბინეტი შესაბამისია სტანდარტთან. გააჩნიათ მაცივარი, სველი წერტილი, სამედიცინო კარადა და ტახტი. არ არის შირმა, რომლის შეძენასაც გეგმავს სკოლა. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი, გარე სპორტული მოედანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლის შიდა და გარე ინფრასტრუქტურა, ასევე, მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. კომპიუტერული ლაბორატორია ღიაა და გამოკრული აქვთ ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი. ბიბლიოთეკა ასევე ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. სკოლას გააჩნია კარგი მატერიალური ბაზა, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, კვების ბლოკი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა -სამკითხველო სივრცით, ვაიფაი- სასკოლო კორპუსის მთლიან სივრცეში, გარემონტებული და სათანადო ავეჯით აღჭურვილი საკლასო ოთახები და კაბინეტები, კეთილმოწყობილია სამასწავლებლო და დირექცია- ადმინისტრაციის ოთახები, გარემონტებული სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი რესურსოთახი, სკოლას აქვს ეზო, რომელსაც აქვს რეკრეაციული ზონა. ზემოთ ჩამოთვლილ სივრცეებში ტარდება სხვადასხვა სასწავლო და არაფორმალური აქტივობები, ღონისძიებები, ინტელექტუალური თამაშები, სპორტული

აქტივობები. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და რეალიზებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის შიდა და გარე ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ადაპტირებულია. მიმდინარეობდა მუშაობა პანდუსისა და სველი წერტილის ადაპტირებაზე. შენობაში არსებობს თავისუფალი გადაადგილების საშუალება, არის ბევრი თავისუფალი სივრცე, რომელიც გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისა და დეკორატიული მცენარეების განთავსებისათვის(ეს სივრცეები კარგ სოციო-კულტურულ გარემოს ქმნის). აქვთ რესურსოთახი, რომელიც ასევე სრულად არის აღჭურვილი. საკლასო ოთახები კეთილმოწყობილი და ნათელია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას შექმნილი აქვს გარემო, რომელიც განაპირობებს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ეზო მოვლილია, სადაც გაშენებულია მწვანე ნარგავები, გამოყოფილია სივრცე დასვენებისათვის. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი. როგორც აღვნიშნეთ, შენობაში ბევრი თავისუფალი ადგილია, რომელშიც განთავსებულია მოსწავლეთა ნაშრომები. სკოლაში ფუნქციონირებს 3 სასკოლო კლუბი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სოფელ გორისის საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანია(132 მოსწავლე). სკოლას გააჩნია სასწავლო რესურსი კურიკულუმების განხორციელებისათვის. ამ რესურსში მოიაზრება მდიდარი ბაზა კომპიუტერული ტექნიკის მიმართულებით, ასევე, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების საკმარისი ოდენობა, ელექტრონული რესურსები, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული სივრცეები, სველი წერტილებითა და ხელსაწყოები მარტივი ცდების ჩასატარებლად. თუმცა არ არის ამწოვი კარადა და ცეცხლგამძლე ზედაპირიანი ლაბორატორიული მაგიდა. სკოლა გეგმავს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვას სტანდარტის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზიტის ფარგლებში რესურსების ადგილზე დათვალიერება
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

- ესქულის ბაზა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის კომპიუტერების ლაბორატორია აღჭურვილია 33 ლეპტოპით,რომელიც სკოლას გადაეცა ,,ახალი სკოლის მოდელის“ფარგლებში კომბინირებული სკანერით და პროექტორით. ამას გარდა, დირექციის და ადმინისტრაციის ოთახებში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, ამ მხრივ ტექნიკის ნაკლებობა არ იგრძნობა. რესურსოთახში განთავსებულია პროექტორი, რომელსაც იყენებენ საჭიროებისამებრ. ამას გარდა, სკოლაში კიდევ აქვთ 4 პროექტორი, როლებსაც იყენებენ მასწავლებლები. სკოლას მიეწოდება უწყვეტი ინტერნეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეების, ისე დანარჩენი სასკოლო საზოგადოებისათვის. შემუშავებული აქვთ წესი და განრიგი, რაც იძლევა საშუალებას დაბრკოლების გარეშე ისარგებლონ კლასებმა ლაბორატორიით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება
- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოებისათვის გამოყენებულია დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემა. სკოლას აქვს მატერიალურად შესული კორესპოდენციის/განაცხადის ელექტრონულად რეგისტრაციის პრაქტიკა. ასეთი ფორმით შესული დოკუმენტაციის რეგისტრაციის პროცედურები გაწერილია საქმისწარმოების წესში. დირექტორის მიერ გამოცემული ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტები იტვირთება eflow-ში, ასევე, ხდება მისთვის ნომრის მინიჭება და ტარდება ბრძანებების ჟურნალში. ელ.ფოსტებზე შემოსული დოკუმენტაცია(წერილები) გადამისამართდება შესაბამის პირთან. პასუხის მომზადებაც ასევე ელექტრონულად ხდება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას-eflow. სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - gorisi@mes.gov.ge სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის პროფილში(EMIS) სრულად არის ასახული მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობის, კლასების, მასწავლებლების, პერსონალის თაობაზე, ასევე, ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ებთან (ესიდა, ემისი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი), საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიასთან. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Eflow-სა და mes.gov.ge-ზე ნაწარმოები დოკუმენტაცია/კორესპოდენციები
- Eschool-ის ბაზის ვიზუალური დათვალიერება.
- 10 დეკემბრის ანგარიშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ გორისის საჯარო სკოლას არ აქვს ვებ.გვერდი. გეგმავს უახლოეს ხანში გააააქტიუროს emis-ის მიერ სკოლისთვის შექმნილი სივრცე და განათავსოს აუცილებელი ინფორმაცია და საჯარო დოკუმენტაცია. სკოლა აქტიურად იყენებს facebook-ის გვერდს საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზნით. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 30 ნოემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2. .სკოლას აქვს სამართლებრივი და მორალური ვალდებულება გაავრცელოს გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, ეგზავნებათ მათ პირადად, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე. ყველა ინფორმაცია შეთანხმებულია სკოლის ადმინისტრაციასთან. ვიზიტის დროს სკოლამ დააფიქსირა მზაობა აღნიშნული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს. მასზედ განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ. დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დავადგინეთ, რომ სკოლა აქტიურ კომუნიკაციაშია საზოგადოებასა და გარშემომყოფ თემთან. ითვალისწინებენ საზოგადოების შეხედულებებს და მოსაზრებებს სასწავლო პროცესის/სასკოლო ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ.გვერდი, შესაბამისად, მასზედ ინფორმაცია არ არის განთავსებული. სკოლა ზრუნავს ვებ გვერდის შექმნაზე. სკოლაში სასწავლო პროცესი მინდინარეობს სახელმწიფო ენაზე(ქართულად) შესაბამისად, ვებ.გვერდზე ინფორმაცია განთავსდება ქართულ ენაზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 30 ნოემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

5. სკოლას არ აქვს აქტიური ვებ.გვერდი. სკოლას აქვს მზაობა, ვებგვერდის ამოქმედებისთანავე მასზედ განათავსოს სასკოლო ცხოვრების მარეგულირებელი ყველა დოკუმენტი და პროექტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 30 ნოემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ფინანსდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერის მიხედვით. ამას გარდა, სკოლას ერიცხება მასწავლებელთა სტატუსის დანამატი, უფლებამოსილი პირის სარგო, სსსმ მოსწავლეების სახსრები(9სსსმ მოსწავლე ჰყავთ). ამ თანხებით სკოლა შეძლებისდაგვარად ქმნის პირობებს სასწავლო პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის, თუმცა ზამთრის პერიოდისათვის ვერ ახერხებს კომუნალური ხარჯების სრულად დაფარვას და ითხოვს სამინისტროსაგან ფინანსურ დახმარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2.სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შედგენილია ამავე წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტით. შესყიდვების გეგმაში ცვლილება ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი(ბუღალტერი). ყოველი კალენდარული წლის დეკემბერში სკოლის დირექტორი ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ბიუჯეტის თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი
- 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა(ბრძანება და დანართი)
- დირექტორის ბრძანება ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლას აქვს შინაგანაწესი, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები. ასევე სკოლა ყოველწლიურად აცნობს მოსწავლეებს ქცევის კოდექსს, მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც გააჩნია უფლებები და პასუხისმგებლობები. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. მშობლებთან დადებულია ხელშეკრულებები. სკოლა 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავს სკოლის შიდა რეგულაციის დოკუმენტის შექმნას, რაზედაც იმუშავებს სასკოლო საზოგადოებისგან შექმნილი ჯგუფი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი იქნება სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. სკოლას აქვს მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს დოკუმენტაციას, სადაც მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. სკოლის შიდა რეგულაციების დოკუმენტი, არის გამჭვირვალე და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან, აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენებას, სასწავლო დროს, დასვენების დროს, უქმე დღეებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტასა და მისი მარეგულირებელ კანონმდებლობას, დამატებითი პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- 2022/23 წლის სასწავლო გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საჭიროებისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. სკოლის ემისის ბაზაში დოკუმენტაცია მოწესრიგებულია. რასაც ასევე არეგულირებს შინაგანაწესი. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და სტატუსის შეწყვეტის ისეთი მექანიზმის შემუშავებას, რომელიც იქნება გამომდინარე კანონმდებლობიდან და მორგებული იქნება სკოლის საზოგადოებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განსაზღვრავს პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობას. პირველ ეტაპზე ხორციელდება სსსმ მოსწავლეების რეგისტრაცია. კანონით განსაზღვრულ ვადებში ხდება პირველკლასელთა რეგისტრაცია და სათანადო დოკუმენტების საფუძველზე ჩარიცხვა. მობილობით განსაზღვრულ ვადებში ხორციელდება , მოსწავლეთა მობილობა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადებისა და მიმღები სკოლის მოთხოვნის საფუძველზე. რაც შეეხება სტატუსის შეჩერებას, სკოლა ახორციელებს ასევე კანონმდებლობის შესაბამისად. რაც დადგინდა მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool.emis.ge -ს დათვალიერებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა ყოველწლიურად აძლევს მოსწავლეებს დაწყებით საფეხურზე მეორე უცხო ენისა და საშუალო საფეხურზე არჩევით საგნების შერჩევის შესაძლებლობას. მოსწავლეთა და მათი მშობლების გამოკითხვის საფუძველზე გათვალისწინებულია მათი ინტერესები. ამასთან დაკავშირეებით ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა სარგებლობს სოციალური ქსელით, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. ეყრდნობა ეთიკის ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- E-school-ის ბაზა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სადმრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი გეგმა; აქვს ასევე მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს პრაქტიკა პირველ კლასში შემოსულ და ასევე სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციისათვის კლასის დამრიგებლები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს. ტარდება სკოლის მინი ექსკურსიები, სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობა-დათვალიერება, შეხვედრები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სსსმ მოსწავლეებთან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობს სპეციალური მასწავლებელი. იგი საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობს მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლა ახორციელებს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებს, რაც კარგად ჩანს დამრიგებლების პორტფოლიოებში ასახულ მასალებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, მათ მხარდასაჭერად სკოლა გასცემს კონსულტაციებს, განმავითარებელ უკუკავშირს, დგება კონსულტაციის გრაფიკი. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლონ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესითა და სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ხდება ბრძანებების გამოცემა და მშობლებთან ინფორმაციის დროული მიწოდება. სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი და სამედიცინო პერსონალის მხრიდან ხდება დროული მხარდაჭერა.სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა გამოხატავს მზაობას მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა ინიციატივებს. მოსწავლეთა თვითმართველობის მიერ შემოთავაზებული ინიციატივები ყოველთვის გათვალისწინებულია სკოლის მიერ. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა ინიციატივით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. მოსწავლეთა გამოკითხვისა და უკუკავშირის საფუძველზე სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე. გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება N 1. (15.11.2018 წ). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- შინაგანაწესი
- განხორციელებული პროექტები
- თვითმმართველობის ოქმი
- იჯარის ხელშეკრულება ცეკვის წრესთან დაკავშირებით.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას პროფესიული ორიენტაციის გაცნობისა და ხელშეწყობის მიზნით. სკოლა ჩართული იყო მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პროექტში „მოიწვიე FINEDU კლასში“, ორგანიზებული შეხვედრები გამართა ქუთაისის კადეტთა კორპუსის წარმომადგენლებთან, დავით აღმშენებლისსახელობის უნივერსიტეტთან, საჩხერის ბესიკ ქუთათელაძის სახელობის სამთო მომზადების სკოლასთან, დამრიგებლები კლასის საათზე ესაუბრებიან სხვადასხვა პროფესიებზე, კინოხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით

სკოლა ჩართულია კინომატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ პროექტში: „კინო სკოლაში“ .სკოლაში მოეწყო კულინარიით დაინტერესებული მოსწავლეებისათვის „კულინარიის დღე“, მიმდინარეობს პროექტი “ნორჩი მებაღე“.სკოლა სამომავლოდ გეგმავს პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის კურსი შესთავაზოს საშუალო საფეხურის მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა აქტიურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ხელს უწყობს სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებს საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებით ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები სხვადასხვა პროფესიებთან დაკავშირებით, რათა სწორი არჩევანი გააკეთონ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით სკოლას აქვს გეგმა, რომელსაც განახორციელებს 2023-2024 სასწ. წელს, ასევე სკოლა აპირებს მემორანდუმის გაფორმებას პროფესიულ სასწავლებელთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზეპირი ინტერვიუ

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში სსსმ მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად გათვალისწინებულია და შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. თუმცა არსებობს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოზარდები, რომლებსაც სჭირდებათ გამარტივებული სასწავლო პროგრამა, რომლითაც შეძლებენ ეფექტურად სწავლას. სკოლა, საგნის მასწავლებლების რეკომენდაციით და სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით ახდენს დაკვირვებას ისეთ მოსწავლეებზე,

რომელთაც აქვთ (მიზეზთა გამო) ჩამორჩენა სწავლაში. ეწყობა მოსწავლის მშობელთან შეხვედრები, დირექციისა და საგნის მასწავლებლების ერთობლივი მუშაობით, მსჯელობისა და აზრთა გაცვლა- გამოცვლის საფუძველზე მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით ხდება სსსმ მოსწავლის იდენტიფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში სსსმ სტატუსის მინიჭება. სტატუსის მინიჭების შემდეგ სკოლა გეგმავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრას, რომლის მეშვეობით შემდეგში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა სსსმ მოსწავლისათვის. სკოლას ჰყავს 5 სსსმ მოსწავლე, აქედან 2 მოსწავლე სწავლობს დაწყებისთ საფეხურსზე, 2 საბაზოზე, მათ შორის ერთი იმყოფება არტერნატიულ სასწავლო გეგმაზე, ერთი საშუალო საფეხურზე. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი.მასწავლებლები განსაკუთრებულად ზრუნავენ მათში აღმოჩენილი ნიჭისა და უნარების განვითარების ხელშეწყობაზე, შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, სასიამოვნო და სახალისო ფიზიკური და ფსიქო-ემოციური გარემოს შექმნაზე. ამას მოწმობს სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, მათ მიერ შესრულებული დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში დიდ ყურადღებას აქცევენ თანამშრომლობის პრინციპს სსსმ მოსწავლის წინსვლისა და მხარდასაჭერად. სკოლა ინკლუზიურია, მომუშავე პერსონალს აქვს მზაობა სკოლაში იყოს დაცული თანასწორუფლებიანობა, მიმღებლობა, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის პრინციპები. სისტემატურად ზრუნავენ სსსმ მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ მოტივაციის ამაღლებასა და სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობაზე. შექმნილია ისგ ჯგუფები, სადაც ჩართულნი არიან სპეც. მასწავლებელი, დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები და მშობელი. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა აპირებს შეიმუშავოს ტრანზიციის გეგმა, რათა უფრო მომზადებული დახვდეს სსსმ მოსწავლეებს. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად მიმდინარეობს მონიტორინგი, რის საფუძველზეც ვადგენთ რა ისწავლა, როგორ გააუმჯობესა კონკრეტული აქტივობის შესრულება და როგორ ხდება მისი ადაპტირება და ინტეგრირება სასწავლო პროცესში. ამისათვის სპეცპედაგოგს შემუშავებული აქვს პროგრამა, რომელსაც ინტენსიურად იყენებს სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ გეგმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ მოსწავლის ადაპტაციის გეგმა
- ზეპირი ინტერვიუ

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა არასავალდებულო მომსახურებას უწევს მოსწავლეებს ტრანსპორტით, ვინაიდან მოსწავლეთა უმრავლესობას შორი მანძილიდან უწევთ გადაადგილება, ამიტომ მოსწავლეებს ემსახურება ოთხი სამარშუტო ტრანსპორტი, რომელსაც ახორციელებს შერჩეული კონტრაქტორი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას უწევს მოსწავლეების ნებაყოფლობითობის პრინციპით,მათი ინტერესების გათვალისწინებით და ემსახურება მოსწავლის განვითარებას. მაგალითად, მოსწავლეთა და მშობელთა ინიციატივის საფუძველზე სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე. რაც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, არსებობს იჯარის ხელშეკრულება **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. ნებაყოფლობითი პრინციპით სკოლამ უზრუნველყო ცეკვის წრის ფუნქციონირება. არასავალდებულო მომსახურეობა ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების საფუძველზე და მორგებულია მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს..**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ცეკვის წრესთან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ დამატებით დოკუმენტად წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის აკადემიური მიღწევების დონე, როგორც კათედრაზე აღნიშნეს, განიხილება **სახელმწიფო ენის** სტანდარტები კლასების მიხედვით, საგნობრივი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრება თემები და კომპლექსური დავალებების რაოდენობა, შემუშავდება კურიკულუმის ჩარჩო, სადაც საგნის მასწავლებლები ითვალისწინებენ პროდუქტს, რა უნდა შექმნან მოსწავლეებმა, სამიზნე ცნებებს, საკითხებს, ქვესაკითხებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო შეკითხვებს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, აქვე გათვლილია სასწავლო რესურსებიც. კურიკულუმის შექმნის პროცესი სკოლას გაწერილი აქვს კათედრის სხდომის ოქმშიც: ,,სახელმწიფო ენის კურიკულუმები შევადგინეთ კათედრის წევრთა ერთობლივი მუშაობით. ძირითად მეთოდოლოგიად ვიყენებდით ესგ-ს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტს საფეხურების მიხედვით ,ასევე ვითვალისწინებდით ტრენინგებიდან მოწოდებულ ინფორმაციას, ,რომელიც სისტემატურად გვიტარდებოდა ახალი სკოლის მოდელში ჩართულ სკოლებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში დავალებები ისეა გაწერილი, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობა და შესაძლებლობები”-ვკითხულობთ სახელმწიფო ენის კათდერის სხდომის ოქმში. აქვე გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის (I—VI კლასები) სსსმ მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების ადაპტირებული კურიკულუმის შემუშავება. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ კურიკულუმების შექმნის მეთოდოლოგიაზე, ისინი კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში მშობელთა თანამონაწილეობაზეც ამახვილებენ ყურადღებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.დაწყებით საფეხურზე **სახელმწიფო ენის** კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია ისეთი თემები, რომლებიც, როგორც მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. კათედრის მუშაობა ეფუძნება სახელმწიფო ენის სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ცხადყოფს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, მასწავლებლები საუბრობენ მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციასა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. ,,კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლებმა მოსწავლეებსა და მშობლებს შეხვედრებზე გავაცანით კომპლექსური დავალების ბარათები, მივიღეთ მათგან უკუკავშირი“ - აცხადებენ მასწავლებლები ინტერვიუში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებით საფეხურზე **სახელმწიფო ენის** კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, ამასთანავე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. პროცესში ჩართულია დირექცია. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. გასაუბრებისას პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ისინი მსჯელობენ, რომელი თემის ფარგლებში შეძლეს შუალედურ მიზნად კომპლექსური დავალების შესრულება, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. კათედრის შემაჯამებელ ოქმში ვკითხულობთ: ,, 2022-2023 სასწავლო წელს ჩვენს სკოლაში ნაწილობრივ ხორციელდება კომპლექსური დავალებები. იმ დავალებების განხორციელებას, რომლებიც საჭიროებისამებრ შეიცვალა, მომავალ წელსაც ვგეგმავთ, ასევე შევიტანთ ახალ კომპლექსურ დავალებებს, თითოეულ კლასში განხორციელდა მინიმუმ ერთი კომპლექსური მაინც. “ ხაზგასასმელია, რომ ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომელთა სრულად შევსება იგეგმება სექტემბრისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია გვაცნობს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების ინსტრუმენტებს, ესენია: ბეჭდვითი მასალები, სკოლის სოციალური სივრცე, ელექტრონული ფოსტა. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება, ბარათები მშობელთათვის. სკოლის სასკოლო--სასწავლო გეგმაში გაწერილი კურიკულუმების შეთანხმება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი N3
- სახელმწიფო ენის შემაჯამებელი ოქმი(რესურსი 12)
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრამ წარმოადგინა 1-6 კლასის კურიკულუმები, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული

სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი-კომპლექსური დავალებები; კათედრას ყველა კლასისთვის წარმოდგენილი აქვს ორ-ორი კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებლები ახდენენ დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია **მათემატიკის** სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. სკოლას დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ხოლო წარმოდგენილ კურიკულუმებში იკითხება მათემატიკის საგნობრივი საკითხები და ქვესაკითხები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შინაარსობლივი ნაწილია. დანართი 3-ში და დანართი 4-ში წარმოდგენილია პროექტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას. ამიტომ, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების და განხორციელებული პროექტების საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ყოველთვის უვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის დოკუმენტაციაში, კერძოდ, დანართი 2-ში წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეთა დოკუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. ასევე, ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ დაწყებით კლასებში დიაგნოსტიკური ტესტების დაგენერირებას ახდენენ „kargiskola.ge“ -ს გვერდიდან, რაც საშუალებას აძლევთ მათ, დაადგინონ კლასისა თუ ინდივიდუალური პროფილები. ასევე, წარმოდგენილია ერთ-ერთი მოსწავლის ისგ-ს ნიმუში, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ზეპირ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლამ წარმოადგინა რამდენიმე კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებსა და გრძელვადიან მიზნებს; წარმოდგენილია მე-5 და მე-6 კლასებისთვის როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება დანარჩენი თემების და კლასებისთვის შეფასების ნიმუშები წარმოადგინონ სექტემბრამდე. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი; ხოლო განმავითარებელი შეფასებით დგინდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწვალის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ამიტომ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს კათედრების გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგემვას. საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება, რაც ასევე დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- დანართი 2- სსსმ მოსწავლისათვვის დოკუმენტები
- დანართი 3 -პროექტები
- დანართი 4 –პროექტები
- დანართი 1 (ერთწლიანი სასწავლო გეგმა)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა დაწყებით საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა - სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიეინტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, რაც კარგად ჩანს კომპლექსური დავალებების პირობებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებისაკენ. განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. I-VI კლასების კურიკულუმებში მითითებულია ესგ-ის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები და თემატური ბლოკები, რითიც დასტურდება, რომ პროცესი იგეგმება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით და სწავლა-სწავლების პროცესი წარმართება ამ მეთოდიკით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.საგნობრივი კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მხოლოდ საგნობრივ ცოდნაზე არამედ სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე - იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგად, ეს მოცემულობა დაზუსტდა და შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კათედრების პედაგოგების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეების მონაწილეობა საკლასო აქტივობებში, ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. ყოველივე ეს დაზუსტდა პედაგოგებთან შეხვედრის დროს გასაუბრერბისას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5.დაწყებით საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებმა ინტერვიურებისას ისაუბრეს, რომ კათედრებზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები. სხვადასხვა საგანებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების გარკვეული ნაწილი მიემართება საგანთაშორის ინტეგრირებისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია
- საგნობრივი კურიკულუმები
- პროექტი "მე მოქალაქე" (დანართი 40)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ყოველდღიური სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი

წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად, რასაც ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველი იქნებოდა, კურიკულუმის ჩარჩოში ყველა თემაში წარმოჩენილიყო საფეხურის ყველა სამიზნე ცნება, თუმცა მასწავლებლების განმარტება, რომ ამ ეტაპზე სამიზნე ცნებებთან მიმართება მხოლოდ იქ აჩვენეს, სადაც საბოლოო დავალებაც შეარჩიეს და განაგრძობენ კურიკულუმის სრულყოფას ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; წარმოდგენილ კურიკულუმებში შესასწავლი თემები და საგნობრივი საკითხები შერჩეულია ისე, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მასწავლებლების თქმით, მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული თემების განხილვა. ფიქრობენ, რომ ეს პრინციპი წარმოჩენილია მათ კურიკულუმში. თემები- თანატოლების ცხოვრება, ამეტყველებული ბუნება, მეგობრობა, წყლის დაბინძურება და მისი შედეგები, შტორმისა და წყალდიდობის დროს უსაფრთხო ქცევა და ა.შ. მშობლიური გარემო-მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტებია, შეუძლიათ პირად მაგალითებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით წარმოიდგინონ, გაიაზრონ. მოსწავლეები ქმნიან საინფორმაციო ბუკლეტს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. სასკოლო სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ სკოლა ტრადიციულ საქმიანობად განიხილავს პროექტებით სწავლებას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს მოსწავლის მხრიდან პროდუქტის შექმნას და მუშაობის პროცესში თანამშრომლობითი კულტურის გამოვლენას. მოსწავლეს უვითარდება თვითრეფლექსიის უნარი, რაც მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარების წინაპირობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურუკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის და შეფასების ნაწილში ერთერთ მიმართულებად სკოლას მითითებული აქვს: ციტატა -" მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; " . ამ პროცესში ჩართულია კათედრები და ადმინისტრაცია. იგივე დოკუმენტში შეფასების პროცესის განუყოფელ ნაწილად მითითებულია : ციტატა - "რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?". ეს კათედრის წევრების შესასრულებელი ნაწილია შეფასების პროცესში. გარდა ამისა საგნის მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, მაგალითად "მოსწავლეთა საკლასო მუშაობის ანალიტიკური რუბრიკა" - რომელიც გაზიარებულია კათედრებს შორის . სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ეს სასკოლო პრაქტიკა დადასტურდა . ასევე მინდა განვიხილო კომპიუტერული ტექნოლოგიების კომპლექსური დავალების "პროგრამული კოდი (ალგორითმი)" - შეფასების ნაწილი ,ეს დოკუმენტი არ არის სკოლის მიერ შედგენილი , თუმცა მეთოდური ორიენტირები ნათლად არის წარმოჩენილი და საგნის მასწავლებლებმა დაადასტურეს ამ კომპლექსური დავალების შესრულება და წარმოადგინეს მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების ბმული ჭკვიანი კოსმონავტი on Scratch (mit.edu) -რომელიც ამ ორიენტირებით შეაფასეს. ორიენტირები ასეთია : დავალების შესრულების შედეგად , მოსწავლე გაიაზრებს

ცნებებს პროგრამული კოდი, ალგორითმი , ვიზუალური პროგრამირება , შეძლებს ალგორითმის სწორი თანმიმდევრობით შემუშავებას და ახსნას თუ რატომ შეიმუშავა ამ თანმიმდევრობით, დავალების შესაბამისი პროგრამული კოდის შერჩევას და სათანადოდ გამოყენებას სხვადასხვა ოპერაციების შესრულებისას. ეს შეფასების სტრატეგია მიმართულია მოსწავლის ცოდნის, უნარის და მეტაკოგნიტური (სააზროვნო) უნარების გამოსავლენად , და იგი ჰოლისტური ბუნების არის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მიერ შეფასების დოკუმენტში ცხრილის სახით აღწერილია შეფასების სისტემის 5-ვე პრინციპი : ვალიდურობა, სანდოობა, გამჭირვალეობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ეს გარემოება და მათი მზაობა, შეფასების დროს იხელმძღვანელონ ამ პრინციპების გათვალიწინებით, დადასტურდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა მოსწავლეთა ვერიფიკაციას უზრუნველყოფს შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარით, რომელიც აისახება ელექტრონულ ჟურნალსა და პირად საქმეში, თუმცა, სკოლას არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტი. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.პირველად ავტორიზაციაზე ვერ ფასდება ეს ინდიკატორი, სკოლა გამოხატავს მზაობას შეიმუშავოს ეს დოკუმენტი და შენახვის ვადა მიუთითოს 3 წელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- "კურუკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია"
- "მოსწავლეთა საკლასო მუშაობის ანალიტიკური რუბრიკა"
- ჭკვიანი კოსმონავტი on Scratch (mit.edu)

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო საზოგადოების წევრები ზრუნავენ მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე, შესაბამისად, სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და მხარს უჭერენ ერთმანეთის ინიციატივებს. სკოლის პედაგოგები და დირექცია თანამშრომლობენ მშობლებთან, მოსწავლეებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, ღონისძიებებსა თუ სასკოლო პროექტებს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ისეა შემუშავებული, რომ ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს ფორმირებას, მასწავლებლები მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათი საჭიროებებიდან გამომდინარე გეგმავენ სასწავლო პროცესს. სკოლის თითოეულ მოსწავლეს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და მოახდინოს იდეების გენერირება. სასკოლო თუ საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებასა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შედგენილია მოსწავლეზე ორიენტირებულად, კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალების იდეები შემუშავებული/შერჩეულია მოსწავლეზე ორიენტირებულად, მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, განმავითარებელი შეფასების ინსტუმენტებს, მაგალითად: გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და ამ გზით ცდილობენ მოსწავლეთა ინტერესების კვლევასა და მათი ცოდნის დონის შეფასებას, რათა შემდგომი სასწავლო პროცესი დაიგეგმოს მათზე ორინტირებულად. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი კვლავ აპირებენ სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების კომპონენტის გამოყენებას და გარდა ამისა, სადიაგნოსტიკო შეფასების გამოყენებას, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუების შემდეგ გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა ერთობლივად შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები, ისინი ხშირად გეგმავენ ერთობლივ და ინტეგრირებულ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. სასკოლო საზოგადოება თანამშრომლობს ერთმანეთთან, სკოლის დირექცია და პედაგოგოები თანამშრომლობენ მშობლებთან და მოსწავლეებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, ღონისძიებებსა თუ სასკოლო პროექტებს. კათედრის წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და მუდმივად ახორციელებენ წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, ახდენენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე მსჯელობას, რაც ეხმარებათ პრობლემის იდენტიფიცირებასა და გადაჭრის გზების ძიებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასკოლო საზოგადოების წევრები უზრუნველყოფენ პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან, მოსწავლეების მშობლებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე ცდილობენ პოზიტიური კლიმატის შექმნას, როგორც კლასის ისე სკოლის დონეზე. სასკოლო საზოგადოება აღიარებს და პატივს სცემს მის თითოეულ წევრს და ხელს უწყობს მოსწავლეებში საკუთარი ინტერესების გამოვლენასა და განვითარებას. სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია მოსწავლეზე ორინტირებულად და ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებას, იქნება ეს კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა თუ სხვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოება სასკოლო პროექტების დახმარებით ცდილობს პოზიტიური კლიმატის შექმნასა და მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებას, მაგალითად: დაწყებით საფეხურზე განხორციელდა პროექტი „მე მოქალაქე“, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეებში საკუთარი ქვეყნისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების ხელშეწყობა. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- დანართი 40 სასწავლო პროექტი;
- მოსწავლის შეფასების რუბრიკები;
- დანართი 57 სასწავლო პროექტი;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ხარისხის ჯგუფის და კათედრების მიერ. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ვლინდება საჭიროებები და ხდება უკუკავშირის გაცემა. საგნობრივი კათედრები ახორციელებენ ურთიერთდასწრებას და ანალიზს, აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. კათედრის წევრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სკოლაში სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და სკოლაში მიმდინარეობს დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. მოწმდება თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი წესის და მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში იკვეთება თანამშრომლობითი კულტურა , მხარდაჭერა და მოსწავლეების და მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. სტრატეგიული განვითარების გეგმაში ვკითხულობთ ,რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია მასწავლებელთა კვალიფიკაციის აუცილებლობის გამოვლენა, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და სწავლების ხარისხის ამაღლება. სკოლა ორიენტირებულია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნაზე სადაც სხვა ფუნქცია მოვალეობებთან ერთად ჩანს კათედრების როლის გაძლიერება ურთიერთთანამშრომლობაზე ზრუნვის, გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრების , სხვადასხვა პროგრამებში,ოლიმპიადებში,კონკურსებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობის, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების,პედაგოგთა შეფასებისა და თვითშეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიმართულებით. ზოგადად სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა , ღირებულებები, პრიორიტეტები , მოვალეობები, სტრატეგიები, მეთოდები , დასახული აქტივობები და მათზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტები მიმართულია სასკოლო საზოგადოების ზრუნვაზე და დახმარებაზე. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ ,რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე და კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით ირკვევა ,რომ მასწავლებლები ამოწმებენ და აფასებენ სწავლის

პროცესს/ხარისხს , ანალიზებენ და აფასებენ დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე გამოცდილების ,ფუნქციების და მოვალეობების გაზიარებით . მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ნიმუშებიდან და გასაუბრებიდან დადგინდა მოსწავლეთა მხარდაჭერა და განვითარებაზე ზრუნვა ,რადგან იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან სქემებს („შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები“,“ვიცი,მინდა ვიცოდე,ვისწავლე“,თვითშეფასება და სხვა) მათგან უკუკავშირის მისაღებად და მათი ინტერესების, საჭიროებების, შესაძლებლობების დასადგენად რის საფუძველზეც გეგმავენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების მიზნები და მეთოდები. აღწერაში წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება სამი მიმართულებებით- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და გამოვლენილი პრობელების გადაჭრა; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება. დაწყებითი საფეხურის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები თუმცა მასწავლებლების მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკის ნიმუშზე და გასაუბრებაზე დაყრდნობთ დგინდება კათედრის გამოცდილება სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირებისათვის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით. მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ დაწყებით საფეხურზე ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების სქემებს, კითხვარებს. აწარმოებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, დაკვირვებას, შემაჯამებელი წერების ანალიზს, რაც პრობლემების, ნაკლოვანებების, სუსტი მხარეების დადგენას უზრუნველყოფს და ეხმარება მათ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმონ სასწავლო პროცესი ამ პრობლემების დასაძლევად, აღმოსაფხვრელად. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენებას გეგმავენ მომავალშიც . გარდა ამისა უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში(რესურსი 12) გაწერილია სადიაგნოსტიკო წერების განხორციელება 2023-2024 სასწავლო წელს, რომლის ჩატარებასაც ორჯერ გეგმავენ -პირველი სემესტრის ბოლოს და სასწავლო წლის ბოლოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენების კათედრის მიერ შვსებული რესურსი 12
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილია ციკლი, რომელიც ეტაპობრივად მოიცავს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, წინა წლების კურიკულუმების გადახედვას, მიზნებისა და ამოცანების ფორმირებას, კურიკულუმის შემუშავებას და დანერგვას. ყველა ეტაპზე ჩართულია სასკოლო საზოგადოება და ინფორმაციის მოპოვება ხდება მათგან მოწოდებული მასალებისა და უკუკავშირის საფუძველზე. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა აღწერს მზაობას,განახორციელოს მრავალფეროვანი აქტივობები(კლუბები, პროექტები, ინტეგრირებული გაკვთილები, სადიაგნოსტიკო წერები, კვლევები...)და მოსწავლეების მიღწევები შეაფასოს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით.სტრატეგიული განვითარების გეგმაში ვკითხულობთ ,რომ მოსწავლეთა მიღწევების შესწავლა მოხდება მოსწავლეთა შედეგებზე დაყრდნობით და კლასებში ჩატარდება ანკეტური გამოკითხვები,კვლევები,მოხდება შედეგების გაანალიზება და სათანადო სტრატეგიების დაგეგმვა. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს დამრიგებლების ფუნქცია მოვალეობები ამ კუთხით . სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს მათი აქტიური როლი ამ მიმართულებით და მუშაობის პრინციპები, რომელიც ითვალისწინებს აღზრდის მთლიანობას (სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სააღმზრდელო მუშაობის მთავარი პრინციპი ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი მოქალაქის აღზრდაა) გასაუბრებისას მასწავლებლებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო

მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციასაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, მშობლებთან,კოლეგებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით.უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და საკითხები (ჩემი დღე, ჩემი საოცნებო სახლი,საყვარელი ცხოველი, უცხოური და ქართული სასკოლო განათლების თავისებურებები,ინგლისურენოვანი ქვეყნისა და საქართველოს ბუნება და ა.შ.) რაც თავისთავად მოიაზრებს შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებას სასწავლო პროცესში.მასწავლებელებთან გასაუბრებისას დადგინდა ,რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების დახვეწის ,განვითარების პროცესში შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან განმავითარებელ და განმსაზღვრელ რუბრიკებს, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის და მოსწავლეთა შეფასება მოხდება სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინებით. ამ მიზნით გააგრძლებენ მჭიდრო თანამშრომლობას მოსწავლეებთან, დამრიგებლებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდიოს მოსწავლის პროდუქტულობაზე რასაც ახერხებს მოსწავლეთა ინტერესების, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარების,სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, საზოგადოებრივი და კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით. შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა კონტექსტები,ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დაწყებითი საფეხურის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი სავალდებულო თემები , საკითხები, კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა საშუალებას მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით მოსწავლის შეფასების უზრუნველყოფას. აგრეთვე დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქტივობები როგორიცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები , კლუბები ,კვლევები უზრუნველყოფს მრავალფეროვან კონტექსტებზე დაყრდნობით მრავალმხრივ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შემუშავება, გამოყენება, სამიზნე ცნებების იერარქიასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით. შეიქმნება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად აპირებს განსაზღვროს ის საშუალებები, რომლითაც განახორციელებს სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას და მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. სკოლა აპირებს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარის გამოსავლენად აუცილებელი მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებას, ასევე ისეთი სტრატეგიების დაგეგმვას, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მიღწევების გაუმჯობესებაში. სკოლის მიერ მოწოდებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე მასწვლებლებთან ინტერვიუ, სადაც აღნიშნეს, რომ ჩართული არიან USAID საბაზისო განათლების პროექტში, რომლის ფარგლებში იგეგმება და ხორციელდება კონსტრუქტივისტული და დიფერენცირებული გაკვეთილები, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული, ცხადყოფს, რომ სკოლა იყენებს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით აპირებს შეფასების გამოყენებით დაადგინოს დაგეგმილი აქტივობების შედეგად მიღწეული შედეგი, რომლის შეფასებაც განხორციელდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და პრიორიტეტად განსაზღვრავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგეგებთან მიმართებით. სკოლას გააზრებული აქვს შეფასებისას გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორები: დრო და სივრცე, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება და სხვა, რამაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს შედეგზე. კათედრის წევრებმა შეხვედრისას დაადასტურეს შეფასების სხვადასხვა მექანიზმების განხილვა და დანერგვა კათედრებზე , სწავლა სწავლების პროცესში გამოყენებულ დიფერენცირებულ მიდგომები, შეფასებისას გათვალისწინებული სხვადასხვა ფაქტორები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ინტერვიუ
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

- უცხოური ენების შემაჯამებელი ოქმი(რესურსი 12)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულება აცნობიერებს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტის შექმნა. ამ მიზნით სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია როგორ განხორციელდება სკოლაში მონიტორინგი და შეფასება, რომლის საფუძველზეც მოხდება მონაცემების შეგროვება და დამუშავება. შეგროვებული მონაცემები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ და გათვალისწინებული იქნება გადაწყვეტილებების მიღებასა და სამომავლო პერსპექტივებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვადგენთ, რომ სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში. აქედან გამომდინარე აქვთ მათ აქვთ კურიკულუმებსაა და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. პრაქტიკიდან გამომდინარე საგნობრივი კათედრები დაგროვილ გამოცდილებას, მიგნებებსა და საჭიროებებს ითვალისწინებდენ ახალი კურიკულუმების შემუშავებისას. სკოლა გამოხატავს მზაობას შექმნას და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწეროს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ჩართული იყო ზოგადი განათლების რეფორმაში, სკოლას გააზრებული აქვს, რომ რომ სასკოლო კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული ცოდნა, გამოცდილება, მიგნებები, საჭიროებები, მოსწავლეთა შედეგები, რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები გაითვალისწინოს და და ასახოს რევიზირებულ კურიკულუმებში. სკოლას აქვს მზაობა განავითაროს თავისი პრაქტიკა ამ მიმართულებით და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან გამომდინარე აპირებს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების საშუალებით ასახოს რამდენად წარიმართება მიმდინარე პროცესები დააგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად სასურველი შედეგები მოიტანეს დაგეგმილმა აქტივობებმა. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს ახალი კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულ ფაქტორებზე და აღნიშნეს, რომ ახალი კურიკულუმების შექმნის დროს გაითვალისწინეს ის პრობლემები, რომელიც კურიკულუმების დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და აქედან გამომდინარე რევიზირებულ კურიკულუმებში ასახეს მისი დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების და შესაძლებლობის გათვალისწინება. კურიკულუმს სკოლა შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები,მშობლები, მასწავლებლები, სკოლის მენეჯმენტი და ადმინისტრაცია) ჩართულობით სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე დაყრდნობით. სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული გამოკითხვები, წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი. კათედრაზე პედაგოგების მიერ შემუშავებულია მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია ისეთი თემები, რომლებიც, როგორც მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. კათედრის მუშაობა ეფუძნება სახელმწიფო ენის სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ცხადყოფს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, მასწავლებლები საუბრობენ მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციასა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. ,,კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და

საჭიროებებს. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლებმა მოსწავლეებსა და მშობლებს შეხვედრებზე გავაცანით კომპლექსური დავალების ბარათები, მივიღეთ მათგან უკუკავშირი“ - აცხადებენ მასწავლებლები ინტერვიუში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნა, რომ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საბაზო საფეხურზე ქართული ენის კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, ამასთანავე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. პროცესში ჩართულია დირექცია. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. გასაუბრებისას ცალკეულმა პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ისინი მსჯელობენ, რომელი თემის ფარგლებში შეძლეს შუალედურ მიზნად კომპლექსური დავალების შესრულება, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. გარდა ამისა, ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომელთა სრულად შევსება იგეგმება სექტემბრისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურის ქართული ენის კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია გვაცნობს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების ინსტრუმენტებს, ესენია: ბეჭვდითი მასალები, სკოლის სოციალური სივრცე, ელექტრონული ფოსტა. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება, ბარათები მშობელთათვის. ,,სკოლის სასკოლო--სასწავლო გეგმაში გაწერილი კურიკულუმების შეთანხმება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი N3
- სახელმწიფო ენის შემაჯამებელი ოქმი(რესურსი 12)
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საბაზო საფეხურის კათედრამ წარმოადგინა V-VII კლასებს კურიკულუმები, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი-კომპლექსური დავალებები; კათედრას ყველა კლასისთვის წარმოდგენილი აქვს ორ-ორი კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებლები ახდენენ დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. სკოლას საბაზო საფეხურის ყველა კლასისთვის აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ხოლო წარმოდგენილ კურიკულუმებში იკითხება საგნობრივი საკითხები და ქვესაკითხები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შინაარსობლივი ნაწილია. დანართი 3-ში და დანართი 4-ში წარმოდგენილია პროექტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას. ამიტომ, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების და განხორციელებული პროექტების საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლა საბაზო საფეხურის მოსწავლეებს ყოველთვის უვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის დოკუმენტაციაში, კერძოდ, დანართი 2-ში წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეთა დოკუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. ასევე, ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ საბაზო საფეხურის კლასებისთვის აგენერირებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, რაც საშუალებას აძლევთ მათ, დაადგინონ კლასისა თუ ინდივიდუალური პროფილები. ასევე, წარმოდგენილია ერთ-ერთი მოსწავლის ისგ-ს ნიმუში, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ზეპირ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებების შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე; წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი

შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება დანარჩენი თემების და კლასებისთვის შეფასების ნიმუშები წარმოადგინონ სასწავლო წლის დაწყებამდე. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი; ხოლო განმავითარებელი შეფასებით დგინდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. ამიტომ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს კათედრებიის გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგემვას. საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება, რაც ასევე დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- დანართი 2 - სსსმ მოსწავლის დოკუმენტები
- დანართი 3 - პროექტები
- დანართი 4 - პროექტები
- დანართი 1 (ერთწლიანი სასწავლო გეგმა)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საბაზო საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა-სწავლება, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმებში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი

კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს რაც, კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიანი მიზნების დაფარვისკენ. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია თეამტური ბლოკები, თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საგნობრივი კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს , რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიების შემუშავებაზე. კომპლექსური დავალებებით მუშაობის მიმართულება უკვე განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პრინციპს, რომელიც ეხმარებათ თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ გამოცდილებასა და ცხოვრებასთან. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საგნობრივი კათედრების წარამომადგენელი პედაგოგების მიერ განხორციელებული და მომავლის პროექტად დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეების მონაწილეობა საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, პროექტებში, საწრეო, თუ საკლუბო მუშაობაში , მსჯელობის, რეფლექსიის და ანალიზის უნარის გამოყენება ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. კომპლექსური დავალებების და კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ სწავლების პროცესი აგებულია ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთკავშირებზე. მოსწავლეები ახდენენ სხვადასხვა მოვლენებისა და პროცესების შორის მსგავსება- განსხვავებების გამოკვეთას, შესწავლილი მოვლენას უკავშირებენ ცხოვრებისულ პროცესებს

და აკეთებენ დასკვნებს. მაგ.: როგორ მოქმედებს ჭიებით დასნებოვნება ადამიანის ჯანმრთელობაზე, შრომისუნარიანობაზე? როგორ შეიძლება იმოქმედოს ოსტეოპოროზის განვითარებამ ადამიანის შრომისუნარიანობაზე? მოიყვანე წვის და ჟანგვის რეაქციების ცხოვრებისეული მაგალითები და ისაუბრეს მათ მნიშვნელობაზე ყოფაცხოვრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია
- საგნობრივი კურიკულუმები
- STEM პროექტი: უსაფრთხო გარემო (დანართი 57)
- ღონისძიებების ბმულები (დანართი 54)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებებით, რაც ცხადყოფს, რომ მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზეა მორგებული შესასწავლი საკითხები და ქვეცნებების დაჯგუფება ქვესაკითხებთან კომპლექსურ დავალებაში აისახება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; საგნობრივ კურიკულუმებში ყველა თემა და საკითხი, კომპლექსური დავალებების იდეები მიემართება მოსწავლის ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებისკენ. შესასწავლი თემები მჭიდრო კავშირშია მოსწავლეებისთვის ნაცნობ და აქტუალურ თემებთან/მოვლენებთან, რომელთა შესწავლისას მათ ჩამოუყალიბდებათ ისეთი ღირებულებები, როგორიცაა გარემოზე ზრუნვა, ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა და ა.შ. ექსპერიმენტებისა და კვლევების ჩატარებისას მოსწავლეები ივითარებენ თანამშრომლობით უნარებს, რაც თავისთავად აისახება მათ პიროვნულ განვითარებაზე. აღნიშნული უნარის მოსწავლეებში ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა თუნდაც კომპლექსური დავალებების დროს საკუთარი სამუშაო პროცესისა და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც იგი აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელელი შეფასებით მათ საშუალება აქვთ იცოდნენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში არსებული შეფასების სისტემის რუბრიკები მრავალფეროვანია, არსებობს კათედრებს შორის კონსულტირების პრაქტიკა, თუმცა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდამჭერი შეფასების რუბრიკების სიმცირეა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტში დეტალურად არის დასაბუთებელი შეფასების ხუთივე პრინციპი : ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა, სამართლიანობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ამ პრინციპების გათვალისწინება დადასტურდა შეფასების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა მოსწავლეთა ვერიფიკაციას უზრუნველყოფს შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარით, რომელიც აისახება ელექტრონულ ჟურნალსა და პირად საქმეში, თუმცა, სკოლას არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტი. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.პირველად ავტორიზაციაზე ვერ ფასდება ეს ინდიკატორი, სკოლა გამოხატავს მზაობას შეიმუშავოს ეს დოკუმენტი და შენახვის ვადა მიუთითოს 3 წელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურუკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგია

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და მხარს უჭერენ ერთმანეთის ინიციატივებს. სკოლის პედაგოგები და დირექცია

თანამშრომლობენ მშობლებთან, მოსწავლეებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე გეგმავენ და ახორციელებენ კლუბურ სამუშაოებსა თუ სასკოლო პროექტებს. საბაზო საფეხურის კურიკულუმი ისეა შემუშავებული, რომ ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს ფორმირებას, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე დაგეგმილია სასწავლო პროცესი. სკოლის თითოეულ მოსწავლეს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და თავად გახდეს საკუთარი ცოდნის ამგები. სასკოლო თუ საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებასა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საბაზო საფეხურის კურიკულუმი შედგენილია მოსწავლეზე ორიენტირებულად. საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებულ კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალების იდეები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. სასკოლო თუ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები. საბაზო საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ხელს უწყობენ მოსწავლეებში თვითრეფლექსიისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. შემაჯამებლებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით ახდენენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს იმისათვის, რომ შემდგომი სასწავლო პროცესი დაიგეგმოს მათ საჭიროებებზე ორიენტირებულად. საბაზო საფეხურის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შემდეგი სასწავლო წლისათვის ისინი აპირებენ დიაგნოსტიკური შეფასების გამოყენებას, რათა სასწავლო პროცესი მაქსიმალურად უზრუნველყოფდეს მოსწავლეზე ორინეტირებულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. საბაზო საფეხურის პედაგოგებმა კათედრების მიხედვით ერთობლივად შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები, ინტერვიუების დროს ისაუბრეს ინტეგრირებულ გაკვეთილებზე და აღნიშნეს, რომ ხშირად იყენებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და ერთობლივად გეგმავენ სასკოლო პროექტებს, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, ესწრებიან

გაკვეთილებზე და აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. სასკოლო საზოგადოება თანამშრომლობს ერთმანეთთან, სკოლის დირექცია და პედაგოგები თანამშრომლობენ მშობლებთან და მოსწავლეებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ კლუბურ სამუშაოებსა თუ სასკოლო პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასკოლო საზოგადოების წევრები უზრუნველყოფენ პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან, მოსწავლეების მშობლებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე ცდილობენ პოზიტიური კლიმატის შექმნას, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. სასკოლო საზოგადოება აღიარებს და პატივს სცემს მის თითოეულ წევრს და ხელს უწყობს მოსწავლეებში საკუთარი ინტერესების გამოვლენასა და განვითარებას. საბაზო საფეხურის სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია მოსწავლეზე ორიენტირებულად და ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებას, იქნება ეს კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა თუ სხვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოება სასკოლო პროექტებისა და კლუბური სამუშაოების დახმარებით ცდილობს პოზიტიური კლიმატის შექმნასა და მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებას, მაგალითად: სკოლაში განხორციელდა პროექტი „ძველი ნივთების ახალი სიცოცხლე“, რომელშიც მონაწილეობა მოსწავლეებთან ერთად მშობლებმაც მიიღეს, პროექტის მიზანს კი წარმოადგენდა სასკოლო გარემოს გაუმჯობესება და სკოლაში ისეთი სივრცის შექმნა, რომელიც მოსწავლეებს მისცემდა დასვენების შესაძლებლობას და ამავდროულად ხელს შეუწყობდა ჯანსაღ ცხოვრებას. აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლის შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული კომპლექსურები - მშობლის ბარათი;
- დანართი 48 მასწავლებლის რეფლექსია;
- დანართი 49 სასწავლო პროექტი;
- დანართი 57 სასწავლო პროექტი;
- დანართი 58 კომპლექსური დავალება;
- დანართი 59 მოსწავლის შეფასება;
- ინტერვიუ საბაზო საფეხურის პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მათ შორის **საბუნებისმეტყველო კათედრაზეც,** მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ- სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებთან** საუბრისას გაირკვა, რომ სასკოლო გეგმის/კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მხოლოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულების, ხარისხის ჯგუფის და კათედრების მიერ, სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგს, ავლენს მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებებს და აძლევს პროფესიონალურ უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში ჩანს ისეთი ღირებულებები როგორიცაა თანამშრომლობითი კულტურა, მხარდაჭერა, მოსწავლეების და მასწავლებელების მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა და იკვეთება ისეთი პრიორიტეტები როგორიცაა მასწავლებელთა კვალიფიკაციის აუცილებლობის გამოვლენა, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სწავლების ხარისხის ამაღლება. ამ კუთხით სკოლა გეგმავს კათედრების როლის გაძლიერებას ურთიერთთანამშრომლობაზე ზრუნვის, გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრების , სხვადასხვა პროგრამებში,ოლიმპიადებში,კონკურსებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობის, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების,პედაგოგთა შეფასებისა და თვითშეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიმართულებით. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების

მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე და კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.ყოველივე ეს უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თანადგომას და მათზე ზრუნვას. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით და მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დგინდება კათედრაზე ურთიერთანამშრობლობითი კულტურა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება ამ მიმართულებით . მათ აღნიშნეს ,რომ მასწავლებლების პროფესიული ზრდისთვის, მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის, განვითარებისთვის აქტიურად იყნებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს- თვითშეფასებას, რეფლექსიას. კურიკულუმის გუმჯობესების და დახვეწის მიზნით უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, რესურსებს, მეთოდებს, სტრატეგიებს, მოსაზრებებს და აწარმოებენ დაკვირვებას ,აკეთებენ მიღწევების, შედეგების ანალიზს მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების დასადგენად და სასწავლო მასალის ,აქტივობების დიფერენცირების მიზნით. მოსწავლეებისგან და კოლეგებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება სამი მიმართულებებით- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და გამოვლენილი პრობელების გადაჭრა; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება.მოხდება აღნიშნული პროცესების მონიტორინგი და შეფასება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით. ჩატარდება კვლევა და შეფასება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით(ვადები,ინსტრუმენტები).საბაზო საფეხურის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები თუმცა მასწავლებლების მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკის ნიმუშზე და გასაუბრებაზე დაყრდნობთ დგინდება კათედრის გამოცდილება სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირებისათვის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით. მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ საბაზო საფეხურზე ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემებს. აწარმოებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, დაკვირვებას, შემაჯამებელი წერების ანალიზს, რაც პრობლემების, ნაკლოვანებების, სუსტი მხარეების გამოვლენას უწყობს ხელს და ეხმარება მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმონ სასწავლო პროცესი ამ

პრობლემების, სუსტი მხარეების დასაძლევად, აღმოსაფხვრელად. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენებას გეგმავენ მომავალშიც. გარდა ამისა უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში(რესურსი 12) გაწერილია სადიაგნოსტიკო წერების განხორციელება 2023-2024 სასწავლო წელს, რომლის ჩატარებასაც ორჯერ გეგმავენ -პირველი სემესტრის ბოლოს და სასწავლო წლის ბოლოს. ი**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენების კათედრის ოქმი- რესურსი 12
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის ყველა ეტაპზე ჩართულია სასკოლო საზოგადოება და ინფორმაციის მოპოვება ხდება მათგან მოწოდებული მასალებისა და უკუკავშირის საფუძველზე. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა აღწერს მზაობას,განახორციელოს მრავალფეროვანი აქტივობები(კლუბები, პროექტები, ინტეგრირებული გაკვთილები, სადიაგნოსტიკო წერები, კვლევები...)და მოსწავლეების მიღწევები შეაფასოს

მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით .კლასებში ჩატარდება ანკეტური გამოკითხვები,კვლევები,მოხდება შედეგების გაანალიზება და სათანადო სტრატეგიების დაგეგმვა. აგრეთვე იკვეთება დამრიგებლის აქტიური როლი ამ მიმართულებით და მუშაობის პრინციპები რომელიც ითვალისწინებს აღზრდის მთლიანობას .შესაბამისად, სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტური ხასიათის უნდა იყოს, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ ერთიან სისტემურ მიდგომას და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.. საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები,წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის ნიმუშები , საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობის შესახებ, იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს . გასაუბრებისას მასწავლებლებმა აგრეთვე აღნიშნეს,რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციასაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, მშობლებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით .მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების დახვეწის, განვითარების პროცესში იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების შემუშავება, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის და მოსწავლეთა შეფასება საბაზო საფეხურზე მოხდება სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინებით. ამ მიზნით გააგრძლებენ მჭიდრო თანამშრომლობას მოსწავლეებთან, დამრიგებლებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ,დირექციასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩამოთვლილი მრავალფეროვანი აქტივობები- ინტეგრირებული და სასკოლო პროექტები, კლუბების მუშაობა, კვლევები, ოლიმპიადებში მონაწილეობა და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი სავლდებულო თემები, საკითხები ,კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები იძლევა საშუალებას მოსწავლე შეფასდეს მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. საბაზო საფეხურზე იგეგმება შეფასების სქემების, კრიტერიუმების შემუშავება სხვადასხვა აქტოვობებისთვის, კომპლექსური ბუნების დავალებებისათვის შესაბამისი უნარების, თემატიკის, შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სკოლის დოკუმენტაციიდან ირკვევა ,რომ შეიქმნება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები , სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან გამომდინარე გეგმავს განსაზღვროს ის საშუალებები, რომლითაც განახორციელებს სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას და მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. სკოლა აცნობიერებს, რომ ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უნდა უზრუნველყოფდეს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. ანკეტირება, ფოკუს ჯგუფი, გამოკითხვა, ანკეტირება, მონაცემთა ანალიზი, დაკვირვება ის მეთოდებია, რომლითაც მოხდება ინფორმაციის მოგროვება და მის საფუძველზე სასკოლო ცხოვრების და მოსწავლის მიღწევების შედეგების გაუმჯობესება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. რის საფუძველზეც დგინდება, რომ გეგმავს შეფასების გამოყენებით დაადგინოს დაგეგმილი აქტივობების შედეგად მიღწეული შედეგი, რომლის შეფასებაც განხორციელდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და პრიორიტეტად განსაზღვრავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას. დრო და სივრცე, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება და სხვა ის ფაქტორებია, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს შედეგზე. კათედრის წევრებმა შეხვედრისას ისაუბრეს კათედრებზე შეფასების სხვადასხვა მექანიზმების განხილვასა და დანერგვაზე, სწავლა სწავლების პროცესში გამოყენებულ დიფერენცირებულ მიდგომებსა შეფასებისას გათვალისწინებულ სხვადასხვა ფაქტორებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითერებელი შეფასების რუბრიკები
- ინტერვიუ

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- უცხოური ენების კათედრის ოქმი-რესურსი 12

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულება აცნობიერებს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტის შექმნა. ამ მიზნით სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია როგორ განხორციელდება სკოლაში მონიტორინგი და შეფასება, რომლის საფუძველზეც მოხდება მონაცემების შეგროვება და დამუშავება. შეგროვებული მონაცემები გააზრებული და გაზიარებული იქნება

სასკოლო საზოგადოების მიერ და გათვალისწინებული იქნება გადაწყვეტილებების მიღებასა და სამომავლო პერსპექტივებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვადგენთ, რომ სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში. აქედან გამომდინარე აქვთ მათ აქვთ კურიკულუმებსაა და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. პრაქტიკიდან გამომდინარე საგნობრივი კათედრები დაგროვილ გამოცდილებას, მიგნებებსა და საჭიროებებს ითვალისწინებდენ ახალი კურიკულუმების შემუშავებისას. სკოლა გამოხატავს მზაობას შექმნას და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწეროს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში, სკოლას გააზრებული აქვს, რომ რომ სასკოლო კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული ცოდნა, გამოცდილება, მიგნებები, საჭიროებები, მოსწავლეთა შედეგები, რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები გაითვალისწინოს და და ასახოს რევიზირებულ კურიკულუმებში. სკოლას აქვს მზაობა განავითაროს თავისი პრაქტიკა ამ მიმართულებით და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან გამომდინარე აპირებს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების საშუალებით ასახოს რამდენად წარიმართება მიმდინარე პროცესები დააგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად სასურველი შედეგები მოიტანეს დაგეგმილმა აქტივობებმა. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს ახალი კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულ ფაქტორებზე და აღნიშნეს, რომ ახალი კურიკულუმების შექმნის დროს გაითვალისწინეს ის პრობლემები, რომელიც კურიკულუმების დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და აქედან გამომდინარე რევიზირებულ კურიკულუმებში ასახეს მისი დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას., მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის აკადემიური მიღწევების დონე, განიხილება სახელმწიფო ენის სტანდარტები კლასების მიხედვით, საგნობრივი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრება თემები და კომპლექსური დავალებების რაოდენობა, შემუშავდება კურიკულუმის ჩარჩო, სადაც საგნის მასწავლებლები ითვალისწინებენ პროდუქტს, რა უნდა შექმნან მოსწავლეებმა, სამიზნე ცნებებს, საკითხებს, ქვესაკითხებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო შეკითხვებს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებსა და შესაბამის აქტივობებს, აქვე გათვლილია ასევე რესურსები. მოსწავლეები ეცნობიან კურიკულუმიდან მასწავლებლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების ბარათებს და მუშაობენ საბოლოო პროდუქტის შექმნაზე. კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია სკოლას გაწერილი აქვს კათედრის სხდომის ოქმშიც, ასევე გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის სსსმ მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების ადაპტირებული კურიკულუმის შემუშავება. ინტერვიუს დროს კურიკულუმების შექმნის მეთოდოლოგიაზე ხაზგასმით საუბრობენ მასწავლებლები, ისინი გამოხატავენ მზაობას, ახალი სასწავლო წლისთვის კათდრაზე შეეჯერდნენ და სრულყოფილად შეავსონ ორი-სამი თემის ფარგლებში წარმოდგენილი სახელმწიფო ენის კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ X, XII კლასების კურიკულუმებში შერჩეულია ისეთი თემები, რომლებიც, როგორც მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. კათედრის მუშაობა ეფუძნება სახელმწიფო ენის სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ცხადყოფს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, მასწავლებლები საუბრობენ მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციასა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. ,,კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლებმა მოსწავლეებსა და მშობლებს შეხვედრებზე გავაცანით კომპლექსური დავალების ბარათები, მივიღეთ მათგან უკუკავშირი“ - აცხადებენ მასწავლებლები ინტერვიუში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნა, რომ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საშუალო საფეხურზე ქართული ენის კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, ამასთანავე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. პროცესში ჩართულია დირექცია. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. გასაუბრებისას ცალკეულმა პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ისინი მსჯელობენ, რომელი თემის ფარგლებში შეძლეს შუალედურ მიზნად კომპლექსური დავალების შესრულება, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. გარდა ამისა, ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერის მიზნით განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობების ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომელთა სრულად შევსება იგეგმება სექტემბრისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურის (X,XIIკლასების) ქართული ენის კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია გვაცნობს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების ინსტრუმენტებს, ესენია: ბეჭდითი მასალები, სკოლის სოციალური სივრცე, ელექტრონული ფოსტა. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება, ბარათები მშობელთათვის. ,,სკოლის სასკოლო--სასწავლო გეგმაში გაწერილი კურიკულუმების შეთანხმება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სახელმწიფო ენის კათედრის სხდომის ოქმი N3
- სახელმწიფო ენის შემაჯამებელი ოქმი(რესურსი 12)
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საშუალო საფეხურის კათედრამ წარმოადგინა მე-10 და მე-12 კლასების კურიკულუმები, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი-კომპლექსური დავალებები; კათედრას ყველა კლასისთვის წარმოდგენილი აქვს ორ-ორი კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებლები ახდენენ დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონტექსტის გათვალისწინებით. ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ

მე-11 კლასის კურიკულუმს სასწავლო წლის დაწყებამდე შექმნიან იგივე მეთოდოლოგიით. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. სკოლას საშუალო საფეხურის მე-10 და მე-12 კლასებისთვის აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ხოლო წარმოდგენილ კურიკულუმებში იკითხება საგნობრივი საკითხები და ქვესაკითხები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შინაარსობლივი ნაწილია. დანართი 3-ში და დანართი 4-ში წარმოდგენილია პროექტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას. ამიტომ, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების და განხორციელებული პროექტების საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს უვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის დოკუმენტაციაში, კერძოდ, დანართი 2-ში წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეთა დოკუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. ასევე, ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ საშუალო საფეხურის კლასებისთვის აგენერირებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, რაც საშუალებას აძლევთ მათ, დაადგინონ კლასისა თუ ინდივიდუალური პროფილები. ასევე, წარმოდგენილია ერთ-ერთი მოსწავლის ისგ-ს ნიმუში, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე, სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ზეპირ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებების შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე; წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება დანარჩენი თემების და კლასებისთვის შეფასების ნიმუშები წარმოადგინონ სასწავლო წლის დაწყებამდე. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი; ხოლო განმავითარებელი შეფასებით დგინდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. ამიტომ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს კათედრების გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგემვას. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსჩინოა წინარე გამოცდილება. უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების გამოცდილება არ არსებობდა 2022-2023 სასწავლო წლამდე. თუმცა ახალი სასწავლო წლიდან ესთეტიკური საგნების წარმომდაგენელები, კერძოდ, მუსიკის მასწავლებლები, ხელოვნების პედაგოგს გაუზიარებენ განვლილი სასწავლო წლის გამოცდილებას და ერთად დაგეგმავენ პორცესს გამოცდილებაზე დაყრდნობით. ასევე სამოქალაქო განათლების პედაგოგიც საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე დაგეგმავს პორექტულ სწავლებას მე-10 კლასში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- დანართი 2 - სსსმ მოსწავლის დოკუმენტები
- დანართი 3 - პროექტები
- დანართი 4 - პროექტები
- დანართი 1 (ერთწლიანი სასწავლო გეგმა)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგნობრივი კათედრები, საშუალო საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებებით წარმართონ სწავლა სწავლება. გამონაკლისს წარმოადგენს ესთეტიკული აღზრდის კათედრა და საგანი - სამოქალაქო განათლება, რადაგან მათი სწავლე-

სწავლების პროცესი პროექტული სწავლებით მიმდინარეობს. ყოველივე ზემოთ ხსენებული კი განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და განსახორციელებლი პროექტები, მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით და ასევე შეიძნოს პროექტის წარმართვის გამოცდილება. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ასევე კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშაულო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, რაც კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში და ესთეტიკური საგნებისა და სამოქალაქო განათლების შემთხვევაში - შეთავაზებულ პროექტებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიანი მიზნების დაფარვისკენ. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია თემატური ბლოკები, თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე, შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საშაულო საფეხურზე საგნობრივი კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიების შემუშავებაზე. კომპლექსური დავალებებით მუშაობის მიმართულება და პროექტული სწავლება უკვე განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პრინციპს, რომელიც ეხმარებათ თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ გამოცდილებასა და ცხოვრებასთან. შეიძინონ კვლევითი უნარები. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა კათედრების წევრებთან გასუბრების შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სხვადასხვა საგნის პედაგოგების მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებები და პროექტული სწავლების მიმართულებით დაგეგმილი პროექტები, მოსწავლეების მონაწილეობა საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,

პროექტებში, საწრეო, თუ საკლუბო მუშაობაში, მსჯელობის, კვლევის, რეფლექსიის და ანალიზის უნარის გამოყენება ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.კურიკულუმებში და კომპლექსურ დავალებებში შერჩეული თემატიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ მასწავლებლებმა შეარჩიეს ისეთი საკითხები, რომლების მოსწავლის მხრიდან მოითხოვს ცოდნის ორგანიზებას. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება შექმნან ბუკლეტები, ჩაატარონ კვლევები და ასეთი აქტივობებით შეძლონ მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია
- საგნობრივი კურიკულუმები
- STEM პროექტი: უსაფრთხო გარემო (დანართი 57)
- ღონისძიებების ბმულები (დანართი 54)
- კომპლექსური დავალება (დანართი 58)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში, თუმცა ქიმიის კურიკულუმში ეს მოცემულია მხოლოდ კონტექსტ-მაგალითები . პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნე, რომ აღნიშნული კურიკულუმი საჭიროებს დეტალურ დამუშავებას და გამოთქვეს მზაობა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის ყველა სამიზნე ცნება და საკითხები გაწერილი იქნება თემების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურუკულუმების საგნობრივი კონტექსტები უმეტეს წილად ემსახურება მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალურ განვითარებას , ეყრდნობა ცხოვრებისეულ მაგალითებს , ითვალისწინებს მათი განვითარების აქტუალურ დონეს , შეესაბამება ასაკობრივ თავისებურებებს და მზაობას აითვისოს ახალი საკითხი. მაგალითად კომპიუტერულ ტექნოლოგიების კომპლექსური დავალება ცნება -ეთიკური ნორმები , მიმართულება ციფრული მოქალაქე , მე-5 კლასში, საკითხი : ბალანსის პოვნა ვირტუალურსა და რეალურ სამყაროს შორის -მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვიღეტბისკენ არის მიმართული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კათედრის წევრები იაზრებენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. ეს ნათელი გახდა პირისპირ ინტერვიუს დროს. ასევე იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. შეისწავლიან მოსწავლეთა დინამიკას, აკეთებენ ანალიზს. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში მასწავლებლებისათვის განმარტებულია შეფასების ხუთივე პრინციპი : ვალიდურობა, სანდოობა, გაჭვირვალეობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. კათედრების წევრებთან გასაუბრების დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს ხუთივე პრინციპის ადეკვატურად აღქმა. მათ მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკებში ამ პრინციპების დაცვის მზაობა მეტწილად არის გამოხატული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა მოსწავლეთა ვერიფიკაციას უზრუნველყოფს შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარით, რომელიც აისახება ელექტრონულ ჟურნალსა და პირად საქმეში, თუმცა, სკოლას არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტი. **სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.პირველად ავტორიზაციაზე ვერ ფასდება ეს ინდიკატორი, სკოლა გამოხატავს მზაობას შეიმუშავოს ეს დოკუმენტი და შენახვის ვადა მიუთითოს 3 წელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა საკლასო მუშაობის ანალიტიკური რუბრიკა
- კათედრების შეფასების ანგარიშის სხდომების ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასკოლო საზოგადოეის წევრები მხარს უჭერენ ერთმანეთისა თუ მოსწავლეების ინიციატივებს. სკოლის პედაგოგები და დირექცია თანამშრომლობენ მშობლებთან,

მოსწავლეებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე გეგმავენ და ახორციელებენ კლუბურ სამოშაოებსა თუ სასკოლო პროექტებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმი ისეა შემუშავებული, რომ ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს ფორმირებას, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე დაგეგმილია სასწავლო პროცესი. სასკოლო თუ საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებასა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. სკოლის თითოეულ მოსწავლეს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი, მოახდინოს იდეების გენერირება და თავად გახდეს საკუთარი ცოდნის ამგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საშუალო საფეხურის კურიკულუმი შედგენილია მოსწავლეზე ორიენტირებულად. საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებულ კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალების იდეები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. სასკოლო თუ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები. საშუალო საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, სთავაზობენ მოსწავლეებს სხვადასხვა პროდუქტს შესასრულებლად, აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ხელს უწყობენ მოსწავლეებში თვითრეფლექსიისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. საშუალო საფეხურის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შემდეგი სასწავლო წლისათვის ისინი აპირებენ დიაგნოსტიკური შეფასების გამოყენებას, რათა სასწავლო პროცესი მაქსიმალურად უზრუნველყოფდეს მოსწავლეზე ორინეტირებულობას. შემაჯამებლებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით ახდენენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს იმისათვის, რომ შემდგომი სასწავლო პროცესი დაიგეგმოს მაქსიმალურად მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. სასკოლო საზოგადოება თანამშრომლობს ერთმანეთთან, სკოლის დირექცია და პედაგოგები თანამშრომლობენ მშობლებთან და მოსწავლეებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესებიდან

გამომდინარე ახორციელებენ კლუბურ სამუშაოებსა თუ სასკოლო პროექტებს. საშუალო საფეხურის პედაგოგებმა კათედრების მიხედვით ერთობლივად შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები, ინტერვიუების დროს ისაუბრეს ინტეგრირებულ გაკვეთილებზე და აღნიშნეს, რომ ხშირად იყენებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და ერთობლივად გეგმავენ სასკოლო პროექტებს, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასკოლო საზოგადოების წევრები უზრუნველყოფენ პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. საშუალო საფეხურის სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია მოსწავლეზე ორინტირებულად და ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებას, იქნება ეს კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა თუ სხვა. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან, მოსწავლეების მშობლებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე ცდილობენ პოზიტიური კლიმატის შექმნას, როგორც კლასის ისე სკოლის დონეზე. სასკოლო საზოგადოება აღიარებს და პატივს სცემს მის თითოეულ წევრს და ხელს უწყობს მოსწავლეებში საკუთარი ინტერესების გამოვლენასა და განვითარებას. სასკოლო საზოგადოება სასკოლო პროექტების, კლუბური სამუშაოებისა და არაფორმალური განათლების დახმარებით ცდილობს პოზიტიური კლიმატის შექმნასა და მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებას, მათი პიროვნული ზრდის ხელშეწყობას, ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენასა და განვითარებას. (სკოლაში განხორციელდა პროექტი „ძველი ნივთების ახალი სიცოცხლე“, რომელშიც მონაწილეობა მოსწავლეებთან ერთად მშობლებმაც მიიღეს, პროექტის მიზანს კი წარმოადგენდა სასკოლო გარემოს გაუმჯობესება და სკოლაში ისეთი სივრცის შექმნა, რომელიც მოსწავლეებს მისცემდა დასვენების შესაძლებლობას და ამავდროულად ხელს შეუწყობდა ჯანსაღ ცხოვრებას). ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვანთ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლის შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული კომპლექსურები - მშობლის ბარათი;
- დანართი 48 მასწავლებლის რეფლექსია;
- დანართი 49 სასწავლო პროექტი;
- დანართი 57 სასწავლო პროექტი;
- დანართი 58 კომპლექსური დავალება;
- დანართი 59 მოსწავლის შეფასება;
- ინტერვიუ საშუალო საფეხურის პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მათ შორის საბუნებისმეტყველო კათედრაზეც, მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ- სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** ინფორმაციით სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სასკოლო გეგმის/კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მხოლოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულების, ხარისხის ჯგუფის და კათედრების მიერ, სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგს, ავლენს მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებებს და აძლევს პროფესიონალურ უკუკავშირს. საგნობრივი კათედრის წევრები ესწრებიან და აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს. ეხმარებიან სხვადასხვა სასწავლო და კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვასა ჩატარებაში, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ეხმარებიან საჭირო მასალების მოძიებაში და სასწავლო რესურსის შექმნაში. მონიტორინგის ინსტრუმენტების დახვეწის მიზნით. სკოლას შემუშავებულ აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია. მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და მშობელთა მეტ ჩართულობას უკუკავშირის გასათვალისწინებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების დოკუმენტში ნათლად ჩანს ფუნქციების და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა მოიცავს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის დონეს. იკვეთება თანამშრობლობითი კულტურა და სწავლის ხარისხზე ,მასწავლებლების პროფესიულ ზრდაზე ზრუნვა და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება ამ მიმართულებით (განმავითარებელი კომენტარი -დაზუსტება, წახალისება, შენიშვნა; მოსწავლის თვითშეფასება ; მასწავლებლის თვითრეფლექსია...) კურიკულუმის მეთოდოლოგიაში და ტრატეგიული განვითარების გეგმაში ჩამოთვლილია სხვადასხვა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ხელშემწყობი აქტივობების და კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვა (ინტეგრირებული ,სასკოლო პროექტები ,კლუბები , კვლევები,ოლიმპიადები,კონკურსები) კათედრებზე მჭიდრო თანამშრომლობით , წინა წლის პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარებით .უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებული ოქმიდან და გასაუბრებიდან დგინდება ,რომ მომავალი სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი საკუთარი გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკის, სუსტი და ძლიერი მხარეების გაზიარებით, მოსწავლეთა შედეგების ანალიზით და ზემოთ ჩამოთვლილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების,მეთოდების გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება სამი მიმართულებებით- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება.მოხდება აღნიშნული პროცესების მონიტორინგი და შეფასება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით. ჩატარდება კვლევა და შეფასება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით(ვადები,ინსტრუმენტები). უცხოური ენების საშუალო საფეხურის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები თუმცა მასწავლებლების მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკის ნიმუშებზე და გასაუბრებაზე დაყრდნობით დგინდება კათედრის გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირებისათვის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით. მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ საშუალო საფეხურზე ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემებს. აწარმოებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, დაკვირვებას, შემაჯამებელი წერების ანალიზს. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენებას გეგმავენ მომავალშიც . გარდა ამისა უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში(რესურსი 12) გაწერილია სადიაგნოსტიკო წერების განხორციელება 2023-2024 სასწავლო წელს, რომლის ჩატარებასაც ორჯერ გეგმავენ -პირველი სემესტრის ბოლოს და სასწავლო წლის ბოლოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი და რესურსი 12

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის ყველა ეტაპზე ჩართულია სასკოლო საზოგადოება და ინფორმაციის მოპოვება ხდება მათგან მოწოდებული მასალებისა და უკუკავშირის საფუძველზე. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა აღწერს მზაობას,განახორციელოს მრავალფეროვანი აქტივობები(კლუბები, პროექტები, ინტეგრირებული გაკვთილები, სადიაგნოსტიკო წერები, კვლევები...)და მოსწავლეების მიღწევები შეაფასოს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით .კლასებში ჩატარდება ანკეტური გამოკითხვები,კვლევები,მოხდება შედეგების გაანალიზება და სათანადო სტრატეგიების დაგეგმვა. აგრეთვე იკვეთება დამრიგებლის აქტიური როლი ამ მიმართულებით და მუშაობის პრინციპები რომელიც ითვალისწინებს აღზრდის მთლიანობას .შესაბამისად, სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტური ხასიათის უნდა იყოს, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ ერთიან სისტემურ მიდგომას და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები,წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის ნიმუშები , საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტების ნიმუშები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობის შესახებ, იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს . გასაუბრებისას მასწავლებლებმა აგრეთვე აღნიშნეს ,რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციასაც- ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, მშობლებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით .მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების დახვეწის ,განვითარების პროცესში იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი განმავითარებელ და განმსაზღვრელი რუბრიკების შემუშავება, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის და მოსწავლეთა შეფასება საშუალო საფეხურზე მოხდება სხვადასხვა კომპონენტების

გათვალისწინებით. ამ მიზნით გააგრძლებენ მჭიდრო თანამშრომლობას მოსწავლეებთან, დამრიგებლებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ,დირექციასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2 . საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია მრავალფეროვანი სავალდებულო თემები და წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები . აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას ,რომ მომავალ სასწავლო წელს უცხოური ენების კათედრა მოსწავლეებს შესთავაზებს სხვადასხვა თემატიკის, კონტექსტის ფარგლებში ცოდნის კონსტრუირებას შესაძლებლობას. აგრეთვე იგეგმება შეფასების სქემების, კრიტერიუმების შემუშავება სხვადასხვა აქტოვობებისთვის, კომპლექსური ბუნების დავალებებისათვის შესაბამისი უნარების, თემატიკის, შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სკოლის დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან ირკვევა ,რომ შეიქმნება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები , სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩამოთვლილი მრავალფეროვანი აქტივობები- ინტეგრირებული და სასკოლო პროექტები, კლუბები, კვლევები,ოლიმპიადები და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი სავლდებულო თემები, საკითხები ,კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები იძლევა საშუალებას მოსწავლე შეფასდეს მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა გამოხატავს მზაობას, შეფასების ვალიდურობისთვის გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, გეგმავს ინფორმაციის შეგროვებას რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებთ, რაც უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა გეგმავს მოსწავლე და სასწავლო პროცესი შეაფასოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორებცაა: დრო და სივრცე, მულტიფაქტორული მიდგომა, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენის მოხდენა შედეგზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულება აცნობიერებს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტის შექმნა. ამ მიზნით სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია როგორ განხორციელდება სკოლაში მონიტორინგი და შეფასება, რომლის

საფუძველზეც მოხდება მონაცემების შეგროვება და დამუშავება. შეგროვებული მონაცემები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ და გათვალისწინებული იქნება გადაწყვეტილებების მიღებასა და სამომავლო პერსპექტივებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვადგენთ, რომ სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში. აქედან გამომდინარე აქვთ მათ აქვთ კურიკულუმებსაა და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. პრაქტიკიდან გამომდინარე საგნობრივი კათედრები დაგროვილ გამოცდილებას, მიგნებებსა და საჭიროებებს ითვალისწინებდენ ახალი კურიკულუმების შემუშავებისას. სკოლა გამოხატავს მზაობას შექმნას და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწეროს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში, სკოლას გააზრებული აქვს, რომ რომ სასკოლო კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული ცოდნა, გამოცდილება, მიგნებები, საჭიროებები, მოსწავლეთა შედეგები, რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები გაითვალისწინოს და და ასახოს რევიზირებულ კურიკულუმებში. სკოლას აქვს მზაობა განავითაროს თავისი პრაქტიკა ამ მიმართულებით და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან გამომდინარე აპირებს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების საშუალებით ასახოს რამდენად წარიმართება მიმდინარე პროცესები დააგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად სასურველი შედეგები მოიტანეს დაგეგმილმა აქტივობებმა. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს ახალი კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულ ფაქტორებზე და აღნიშნეს, რომ ახალი კურიკულუმების შექმნის დროს გაითვალისწინეს ის პრობლემები, რომელიც კურიკულუმების დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და აქედან გამომდინარე რევიზირებულ კურიკულუმებში ასახეს მისი დაძლევის შესაბამისი ცვლილებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ინა ბიწაძე/



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

/გელა მაჭარაშვილი/

/ინგა ალავერდაშვილი/

/ანი მეხუზლა/

/თინათინ ბეგიაშვილი/

/ნინო როსტომაშვილი/

/ლილი კაცაძე/

/ია სეხნიაშვილი/

/მზია დადვანი/

/ლია ნეფარიძე/

/ლელა მანგოშვილი/

07.11.2023 წ
თარიღი